

ასათიანმა ფეხი გამოჰყო პენალტის დასარტყმელად

A2




ბროზნოდან ახმად-ყალამდე

A3



გუბერნსკის ციხე იყიდება

A5


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 15 დეკემბერი, 2005 წელი. №278 (1138) | ფასი 50 თეთრი


## სამართალი

### ხაჭაპურიძეების მკვლელობა - ბიზნესში კონკურენტთა ლიკვიდაცია

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ექვსი თვის წინ გატაცებული ხაჭაპურიძეებისა და ლომიძის ცხედრებს ჭირისუფლებს დღეს დაუბრუნებენ, დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს ოთხი ქართველის ცხედარი ოჯახის წევრებისთვის, დაპირებისამებრ, გუშინ უნდა დაებრუნებინათ, თუმცა, ვარაუდი არ გამართლდა.

A3

## უცხოეთი

### ირანის პრეზიდენტი მორიგ ხისტ განცხადებას აკეთებს

ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი მორიგ ხისტ განცხადებას აკეთებს და ამტკიცებს, რომ ჰოლოკოსტი ევროპელების მიერ შექმნილი მითია.

A3

## სპორტი

### სელეში ფიქრობს და ვარჯიშობს

მარტინა ჰინგისი ერთადერთი არ არის, ვისაც ჩოგნის ხელში აღების სურვილი გაუჩნდა. კორტებს უბრუნდება მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი 32 წლის მონიკა სელეშიც. რაკი დაბრუნებაზე ვსაუბრობთ, აქვე გავიხსენოთ, რომ პროფესიულ ჩოგბურთს უბრუნდება ჯონ მაკინროიც.

A6


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 15/12 | 16 /12 |
|---|---|---|
| თბილისი | 12 | 13 |
| ქუთაისი | 16 | 15 |
| სოხუმი | 16 | 14 |
| დმანისი | 8 | 8 |
| გორი | 11 | 12 |
| ონი | 7 | 9 |
| ზუგდიდი | 18 | 15 |
| ახმეტა | 12 | 13 |
| გაგრა | 13 | 12 |
| სამტრედია | 17 | 16 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7875 |
| ევრო | 2.1495 |
| ბირთანეთა სტერლ. | 3.1675 |
| რუბლი | 0.0624 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| საზოგადოება | A 4 |
| სამართალი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# პარალელები

## შემთხვევითი თუ ლოგიკური?

### კოკოითის მიმართვა იმეორებს საქართველოს არასამთავრობოთა 6 აპრილის მიმართვას

თამარ დვალი

2005 წლის 6 აპრილს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისადმი. არასამთავრობოები "საქართველოს მთავრობის ინიციატივას სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებასთან დაკავშირებით" დადებით შეფასებას აძლევდნენ და აღნიშნავდნენ, რომ სასურველი იქნებოდა, სამშვიდობო გეგმა უფრო ადრე შემუშავებულიყო, რაც თავიდან აგვარიდებდა კონფლიქტის ესკალაციას.

**"ჩვენი აზრით, დოკუმენტის რეალიზაციას წინ უნდა უძღოდეს გარკვეული ნაბიჯები, რომლებიც ნაწილობრივ მაინც აღადგენს დაკარგულ ნდობას, რაც უკანასკნელი წლების განმავლობაში მოპოვებულ იქნა ქართველი და ოსი ხალხების მიერ. კერძოდ:**

**ვფიქრობთ, ზოგი ღონისძიება, რომელსაც ითვალისწინებს "სამთავრობო ინიციატივა", უკვე მისი რეალიზაციის დაწყებამდე უნდა განხორციელდეს. ეს ხელს შეუწყობს, შეუქცევადი გახდეს ოს ხალხში დაწყებული უნდობლობის ლღობის პროცესი.**

**მხედველობაში გვაქვს შემდეგი:**

**ა) აუცილებელია 1990-1992 წლების შეიარაღებული კონფლიქტის პოლიტიკური შეფასება საქართველოს ხელისუფლების მიერ, მით უფრო, რომ თქვენი მხრიდან ამის შესახებ გაკეთდა მნიშვნელოვანი განცხადებები. მხოლოდ ასეთი ოფიციალური შეფასებების შემდეგ შეიძლება დაიწყოს ნებისმიერი სამშვიდობო პროცესი; ამასთან ერთად, ვფიქრობთ, მკაფიო ახსნა უნდა მოეძებნოს 2004 წლის ზაფხულის მოვლენებს;**

**ბ) "სამშვიდობო შეთანხმების პირობებში" 1990-1992 წლების კონფლიქტში დაზარალებული მოსახლეობის მიმართ ქონებრივი რესტიტუციის კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ეს კანონი მიღებულ იქნეს სამშვიდობო შეთანხმებამდე. მსგავს ნაბიჯებს შეუძლია გააღვივოს რწმენა ოს მოსახლეობაში, რომ საქართველოს ხელისუფლება რეალურად იწყებს თავისი ვალდებულებების შესრულებას;**

**გ) დროულად უნდა დასრულდეს სოფელ კეხვთან 1992 წლის მაისში მომხდარი ტრაგედიის გამოძიება და მისი შედეგები ეცნობოს საზოგადოებას.**

გაგრძელება A3 გვერდზე

# ბრძოლა საეკლესიო დამოუკიდებლობისათვის

### გათავისუფლება რუსეთის სულიერი და პოლიტიკური გავლენისაგან

*13 დეკემბერს კიევში გაიხსნა სრულიად უკრაინის საეკლესიო-სამოქალაქო ფორუმი "უკრაინის ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიისათვის". ფორუმის მთავარი მიზანია უკრაინის ეკლესიისა და საზოგადოების გათავისუფლება რუსეთის სულიერი და პოლიტიკური გავლენისაგან, კიევის საპატრიარქოსათვის ისტორიულად გამართლებული ავტოკეფალიის დაბრუნება. საქართველოდან ფორუმს დაესწრნენ რელიგიური საკითხების შემსწავლელი ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, ვლადიმერ გოგიაშვილი და დეკანოზი ბასილ კობახიძე. ფორუმს გაეგზავნა აგრეთვე ოფიციალური მისალმებები, რომელთა ტექსტს ქვემოთ ვბეჭდავთ.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*საქართველოს დელეგაცია კიევში.*

# პენსიონერების შემდეგ, ქუჩაში პედაგოგები და მეცნიერები გამოდიან

გიორგი ასანიშვილი

საქართველოს დედაქალაქში სოციალური უკმაყოფილების ახალი ტალღა აგორდა. პენსიონერების შემდეგ, პარლამენტის წინ საპროტესტო აქციებს უკვე პედაგოგები მართავენ. ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებიდან თბილისში ჩამოსული საშუალო სკოლების მასწავლებლები ხელისუფლების წინაშე რამდენიმე მოთხოვნას აყენებენ. ისინი, პირველ რიგში, ვაუჩერების თანხის გაზრდას ითხოვენ. პედაგოგთა თქმით, სახელმწიფოს მიერ თითოეულ მოსწავლეზე გამოყოფილი თანხა (ქალაქის სკოლებისთვის ის 220 ლარს შეადგენს, სოფლის სკოლებისთვის - 330 ლარს, მაღალმთიანი რაიონების სკოლებისთვის - 395 ლარს) იმდენად მიზერულია, რომ მალე ბევრი სკოლა დახურვის საფრთხის წინაშე დადგება.

გაგრძელება A2 გვერდზე



*პარლამენტის წინ პედაგოგები მთელი საქართველოდან შეიკრიბნენ.*

## როცა მშვიდობაზეა საუბარი, მოსაუბრის ვინაობას მნიშვნელობა არ აქვს

*სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" არასამთავრობო ორგანიზაცია "იბერ-ირონისა" და ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლების მიერ გამართულ შეხვედრას, ქართველ პოლიტიკოსებთან ერთად, ოსი ჟურნალისტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.*

თამარ მაისურაძე

**"სამხრეთ ოსეთს უნდა შევთავაზოთ ფართო ავტონომია, რაც უფრო მეტ უფლებებს გულისხმობს, ვიდრე მაგალითად ჩრდილოეთ ოსეთს აქვს დღეს. ცხინვალის რეგიონის ხელმძღვანელობას საქართველოს პარლამენტში უნდა ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი. ოსურ ენას უნდა მიენიჭოს განსაკუთრებული სტატუსი. უნდა გამარტივდეს რუსეთის საზღვრის გადაკვეთის პროცედურა. როკის გვირაბზე ერთობლივი კონტროლის დამყარების შემდეგ, შესაძლებელი გახდება თავისუფალი ეკონომიკური ზონის განვითარება. აუცილებლად უნდა შეიქმნას ცხინვალის მოსახლეობისთვის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პირობები, უნდა მოხდეს მათი სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფა. ამავდროულად საქართველოში განსახორციელებელი ინვესტიციების არცთუ მცირე ნაწილი უნდა განხორციელდეს ცხინვალის რეგიონში. ვაპირებთ, რუსეთთან ერთად სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რეაბილიტაციის ფონდის შექმნას, რაც ამ ადამიანებს უკან დაბრუნებაში დაეხმარება. ამ ზონაში უნდა მოხდეს ინფრასტრუქტურის განვითარება, რეგიონის სურსათით, სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა. უნდა მოწესრიგდეს გზები და ა.შ. ამისთვის კი აუცილებელია მთავრობათაშორის მაკოორდინირებელმა შეხვედრებმა უფრო რეგულარული ხასიათი მიიღოს,"** - აღნიშნა საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა ირაკლი ქავთარაძემ.

გაგრძელება A3 გვერდზე

## მოიძებნება შეხების წერტილები?

### სააკაშვილი მზადაა, შეხვდეს ბაგაფშს

მამუკა შველიძე

**"საქართველოს პრეზიდენტი მიესალმება ქართულ-აფხაზური დიალოგის გაგრძელებას და კვლავ ადასტურებს მზადყოფნას, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, ნებისმიერ დროს შეხვდეს აფხაზური მხარის ლიდერს ბატონ სერგეი ბაგაფშს. შეხვედრის დროს მიზანშეწონილად მივიჩნევთ ეკონომიკური, ჰუმანიტარული, ნდობის აღდგენის და უსაფრთხოების საკითხების განხილვას.**

**საქართველოს პრეზიდენტი მხარს უჭერს აფხაზეთში კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირების მშვიდობიან გზას და შესაძლებლად თვლის ორმხრივ დოკუმენტზე ხელმოწერას, რომელშიც აისახება აფხაზურ და ქართულ მხარეთა სამართლიანი ინტერესები"** - ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებათა პროცესში საქართველოს პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა ირაკლი ალასანიამ ეს განცხადება გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში გააკეთა, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველოს ხელისუფლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია აფხაზეთი, როგორც გეოგრაფიული ტერიტორია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ქართულ სივრცეში ამ ტერიტორიაზე მცხოვრებთა რეინტეგრაციის საკითხი.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ემიგრანტები ლარის კურსის სტაბილურობაზე "ზრუნავენ"

*ეკონომისტები და ფინანსისტები, როდესაც ეროვნული ვალუტის სტაბილურობაზე საუბრობენ, აუცილებლად აღნიშნავენ, რომ ქართული ლარის მდგრადობა გარკვეულწილად საზღვარგარეთ მოღვაწე ჩვენი თანამემამულეების დამსახურებაც არის.*

მარიამ ჭაჭვაძე

დღეს ქვეყნის ფარგლებს გარეთ, სხვადასხვა არაოფიციალური მონაცემებით, დაახლოებით მილიონი მოქალაქეა გასული. მათი უმრავლესობა ეკონომიკური მიგრანტია, რომლებიც სხვადასხვა სფეროში არიან დასაქმებულნი.

არასამთავრობო ორგანიზაციების და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად ირკვევა, რომ საზღვარგარეთ მყოფთა დაახლოებით 80 პროცენტი 20-დან 50 წლამდე ასაკის ადამიანები არიან. საქართველოში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელის დევდ ტერცის თქმით, ისინი წარმოადგენენ საუკეთესო ასაკის მოქალაქეებს (შრომისუნარიანობის მიხედვით).

უმრავლესობა რუსეთშია გახიზნული. საქართველოს მოქალაქეების ასეთი არჩევანი, ექსპერტების შეფასებით, ორი მიზეზით არის განპირობებული: ერთი - მეზობელი ქვეყნის ფაქტორი და მეორე - შრომის ანაზღაურება, რომელიც დღეს რუსეთის ფედერაციაში დაახლოებით იმდენივეა, რამდენიც დასავლეთ ევროპაში, ან თუნდაც ამერიკის შეერთებულ შტატებში. ემიგრანტები რუსეთის შემდეგ უპირატესობას აშშ-ს და საბერძნეთს ანიჭებენ.

ჩატარებული გამოკვლევებიდან მიღებული შეფასებით, საზღვარგარეთ მყოფთა 70 პროცენტი - სამუშაოდ, 20 პროცენტი კი საცხოვრებლად ან ახლობლებთან ვიზიტით არის წასული.

საზღვარგარეთ წასულთაგან დაახლოებით 16 პროცენტი კვალიფიციური სამუშაოთია დაკავებული, 24 პროცენტი კი ეწევა არაკვალიფიციურ სამუშაოს. ეს ადამიანები საკუთარ ახლობლებს ყოველწლიურად რამდენიმე ათას ამერიკულ დოლარს უგზავნიან. ასეთი ტრანსფერების საერთო ოდენობა კი, სხვადასხვა ექსპერტული შეფასებებით, წელიწადში 300-350 მილიონ აშშ დოლარამდე აღწევს.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, რომელიც თავის მხრივ ქვეყანაში მოქმედი 19 კომერციული ბანკის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობა, წელს იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით, საქართველოში ფულადი გზავნილების მოცულობამ 274 მილიონ აშშ დოლარს ოდნავ გადააჭარბა, რაც გასული წლების შესაბამის მაჩვენებლებს მნიშვნელოვნად აღემატება.

გაგრძელება A2 გვერდზე

# "გაზპრომმა" ვიზიტი გადადო

"გაზპრომის" მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ალექსეი რიაზანოვის საქართველოში ვიზიტი გადაიდო. ამის შესახებ ჟურნალისტებს სახელმწიფო კანცელარიაში სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ განუცხადა. რიაზანოვის საქართველოში ვიზიტის გადადების მიზეზი "გაზპრომსა" და უკრაინას შორის გამართული მოლაპარაკებებია.

**"გაზპრომმა" უარი თქვა ამ ეტაპზე საქართველოში ჩამოსვლაზე, ვინაიდან ისინი მოლაპარაკებებს უკრაინასთან მართავენ. რიაზანოვი საქართველოს მომავალ ორშაბათს ეწვევა,"** - განაცხადა ბენდუქიძემ. ალექსეი რიაზანოვის ვიზიტი, სავარაუდოდ, სამშაბათისთვის გადაიდო.

შეგახსენებთ, რომ თბილისში რიაზანოვის ვიზიტის ფარგლებში ბოლო თვეების მთავარი საკითხის - რუსეთიდან იმპორტირებული ბუნებრივი აირის საფასურის განხილვა იგეგმებოდა. ამასთან, მხარეებს სომხეთში ტრანსპორტირებული გაზის ტრანზიტის სამომავლო ფასზეც უნდა ემსჯელათ. თავის მხრივ, საქართველო მაქსიმალური სატრანზიტო ტარიფის დაფიქსირებას გეგმავს, რითაც დანაკარგების კომპენსირებას შეეცდება.

საუბარი შეეხება "გაზპრომსა" და ქართულ მხარეს შორის გასაფორმებელ 10-წლიან ხელშეკრულებას, რომელიც მხარეებს შორის სამომავლო ურთიერთობებს დაარეგულირებს. არ არის გამორიცხული, ხელშეკრულებას ხელი რიაზანოვის ვიზიტის ფარგლებში მოეწეროს, თუმცა ხელშეკრულების გაფორმებისთვის მხარეებს ვადა მომავალი წლის 1 იანვრამდე აქვთ.

*24 საათი*

# ბრძოლა საეკლესიო დამოუკიდებლობისათვის

პირველი გვერდიდან

**საქართველოს პარლამენტის უსაფრთხოებისა და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის, გივი თარგამაძის მიმართვა სრულიად უკრაინის საეკლესიო-სამოქალაქო ფორუმის "უკრაინის ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიისათვის" მონაწილეებს**

მოგესალმებით საქართველოს პარლამენტის დეპუტატთა სახელით და წარმატებასა და ნაყოფიერ მუშაობას ვუსურვებ სრულიად უკრაინის საეკლესიო-სამოქალაქო ფორუმს.

ნარინჯისფერმა რევოლუციამ უკრაინას მრავალი პოზიტიური ცვლილება მოუტანა, მათ შორის, რელიგიურ სფეროშიც. პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს ბრძნულმა და გაწონასწორებულმა პოლიტიკამ აქცია უკრაინა რელიგიური მშვიდობისა და ტოლერანტობის მაგალითად არა მარტო პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნებისათვის, არამედ მთელ ცივილიზებულ სამყაროშიც. უკრაინელმა ხალხმა რეალური სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გზა აირჩია და ეს განუხორციელებელია სულიერი დამოუკიდებლობის, უკრაინის დამოუკიდებელი მართლმადიდებელი ეკლესიის გარეშე, რომელსაც თქვენი ქვეყნის მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი მიეკუთვნება.

უკრაინასა და საქართველოს შორის ძმურ ურთიერთობას მრავალი საუკუნის წინ ჩაეყარა საფუძველი. 1154 წელს კიეველმა თავადმა იზიასლავ მსტისლავოვიჩმა ცოლად შეირთო საქართველოს მეფის, დემეტრე პირველის ქალიშვილი, დიდი დავით აღმაშენებლის შვილიშვილი. მაშინ კიევის სახელმწიფო სწორედ ავტოკეფალიისთვის იბრძოდა, ანუ იმისათვის, რომ ეკლესიის მწყემსთმთავარი ბიზანტიის მიერ არ დანიშნულიყო, არამედ არჩეულიყო ადგილზე. საქართველოს ეკლესიას უკვე ჰქონდა ასეთი ავტოკეფალია, რის გამოც კიეველ მთავარს მხარდაჭერას დაჰპირდა.

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული ბედი ძალიან ჰგავს საქართველოსას. განსაკუთრებით XX საუკუნის დასაწყისში, როცა ჩვენი ეკლესიის მოღვაწეებმა აღადგინეს რუსეთის იმპერიის მიერ წართმეული ავტოკეფალია. ამ დროს უკრაინელ მართლმადიდებლებს არა ჰყავდათ ეპისკოპოსები, ამიტომ დეკანოზმა სტეფანე ორლიკმა მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ლეონიდე ოქროპირიძეს და სთხოვა უკრაინელი ეპისკოპოსების ხელდასხმა. უწმინდესი ლეონიდე დათანხმდა და 1921 წელს დეკანოზები სტეფანე ორლიკი და პავლე პოგორილკო კიევიდან თბილისს გაემართნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ხერსონესში ისინი ბოლშევიკებმა დააპატიმრეს. დღეს კი საქართველოსთვის უწმინდესი კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე ოქროპირიძე არის სიმბოლო ჩვენი უკრაინელი მართლმადიდებელი ძმების ბრძოლისა საეკლესიო დამოუკიდებლობისთვის.

იმედი გვაქვს, რომ სულ მალე აღდგება ისტორიული სამართალი და კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია თავის კანონიერ ადგილს დაიმკვიდრებს მსოფლიო მართლმადიდებელ სამყაროში და უფრო აქტიურად იშრომებს სულიერი და კულტურული ცხოვრების ასაღორძინებლად, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დასამკვიდრებლად, რითაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს უკრაინის ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის საქმეში.

*საქართველოს პარლამენტის უსაფრთხოებისა და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე*
**გივი თარგამაძე**

**საქართველოს სახალხო დამცველის, სოზარ სუბარის მიმართვა სრულიად უკრაინის საეკლესიო-სამოქალაქო ფორუმის "უკრაინის ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიისათვის" მონაწილეებს**

*უკრაინის მთავრობის წევრებს,*
*მის უწმინდესობას, ფილარეტს,*
*კიევისა და სრულიად*
*რუს-უკრაინის პატრიარქს,*
*მაღალყოვლადუსამღვდელოეს*
*მღვდელმთავრებს,*
*საეკლესიო-სამოქალაქო*
*ფორუმის წარმომადგენლებს.*

ტოლერანტობის, რელიგიური უფლებებისა და თავისუფლებების საკითხებს დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპულ სტრუქტურებში უკრაინის ინტეგრაციისათვის. უკრაინული სახელმწიფოს კანონმდებლობა რელიგიური ორგანიზაციების შესახებ არის პოზიტიური მაგალითი მრავალი ქვეყნისათვის, ხოლო ახალი უკრაინული მთავრობის პოლიტიკა, რომელიც პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს ხელმძღვანელობით ტარდება, იძლევა უკრაინულ საზოგადოებაში პიროვნების ყველა უფლებისა და თავისუფლების აბსოლუტური დაცვის გარანტიას. ეს ნარინჯისფერი რევოლუციის იდეალთა გამოხატულებაა.

უკრაინის ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობა ბოლოს მოუღებს უკრაინის მოსახლეობის საგრძნობი ნაწილის დამოკიდებულებას სხვა ქვეყნის ნება-სურვილზე და შეწყვეტს "მართლმადიდებლური ფაქტორის" გამოყენებას ანტიუკრაინული პოლიტიკის ინსტრუმენტად. უკრაინის დამოუკიდებელი ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესია შეძლებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას ეროვნულ თვითგამორკვევასა და ნაციონალურ თვითიდენტიფიკაციაში, გაამყარებს სამოქალაქო მშვიდობასა და თანხმობას, მოახდენს საზოგადოების კონსოლიდაციას.

გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას უკრაინაში დემოკრატიის, სიმართლისა და სიკეთის განსამტკიცებლად.

*ღრმა პატივისცემით,*
**სოზარ სუბარი**
*საქართველოს სახალხო დამცველი.*

# პენსიონერების შემდეგ, ქუჩაში პედაგოგები და მეცნიერები გამოდიან

პირველი გვერდიდან

საპროტესტო მიტინგის მონაწილე პედაგოგები იმითაც არიან უკმაყოფილონი, რომ ზაფხულის არდადეგების პერიოდში მასწავლებლებს მხოლოდ ორი კვირის ხელფასი მიეცემათ.

**"მიმდინარე სასწავლო წლის პირველი მესამედის დასრულების შემდეგ, ჯერ კიდევ გადაუჭრელი რჩება განათლების სისტემის დაფინანსებასა და მასწავლებელთა შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული პრობლემები. სახელმწიფოს მიერ განათლების სფეროს პრიორიტეტულად გამოცხადება მხოლოდ შიშველ დეკლარაციად დარჩა. რეალურად, განუხორციელებელია სახელმწიფოს მხრიდან პედაგოგებისთვის დაპირებული სამომხმარებლო კალათის მოცულობასთან გათანაბრებული ანაზღაურება,"** - აღნიშნავს აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, პედაგოგთა დამოუკიდებელი პროფკავშირების ხელძღვანელი მანანა კობახიძე.



*მიუხედავად საპარლამენტო კომიტეტში საუბრისა, მეცნიერებმა მდუმარე აქცია განაგრძეს.*

პარლამენტის წინ შეკრებილ პედაგოგებს ოპოზიცია სრულ სოლიდარობას უცხადებს. გუშინ, იმ დროს, როდესაც მასწავლებელთა კოლონამ ფილარმონიიდან პარლამენტისკენ გადაინაცვლა, ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" წევრებმა, კობა დავითაშვილმა და ზვიად ძიძიგურმა, საგანგებო ბრიფინგი გამართეს.

კონსერვატორული პარტიის თავმჯდომარის მტკიცებით, მასწავლებელთა დიდ ნაწილს ხელფასები კი არ მოემატა, შეუმცირდა.

**"მოხდა "ურავნილოვკა". მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგებს შრომის ანაზღაურება შეუმცირდათ, მათ ხარჯზე კი დაბალი კატეგორიის მქონე მასწავლებლებს ხელფასი უმნიშვნელოდ გაეზარდათ,"** - აცხადებს კობა დავითაშვილი და თავისივე ნათქვამზე დაყრდნობით, გამოაქვს დასკვნა, რომ დღევანდელ ხელისუფლებას მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგ-მასწავლებლები არ სჭირდება.

თუ ქუჩაში გამოსულ პედაგოგებს ჯერ კიდევ აქვთ იმედი, რომ მთავრობა მათ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს (აქციის მონაწილეთა ნაწილს გუშინ საღამოს განათლების მინისტრი კახა ლომაია შეხვდა), იმედგაცრუებულნი არიან ის მეცნიერები, ვინც ორი დღის განმავლობაში პარლამენტის წინ მდუმარე აქციას მართავს. ისინი "მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ" კანონპროექტიდან იმ მუხლის ამოღებას ითხოვენ, რომელიც მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს ამ სისტემიდან გასვლას ავალდებულებს.

მეცნიერებისთვის, კერძოდ, მიუღებელია კანონპროექტის ის ნაწილი, სადაც ნათქვამია, რომ მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობიდან გასულ ინსტიტუტებს საჯარო იურიდიული პირის სტატუსი მიენიჭებათ და გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, მათ საშუალება მიეცემათ, მიიღონ გადაწყვეტილება, დაუბრუნდნენ თუ არა მეცნიერებათა აკადემიის სისტემას.

განათლებისა და მეცნიერების საპარლამენტო კომიტეტში ოთხი საათის განმავლობაში, დახურულ კარს მიღმა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამართული შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. ნოდარ გრიგალაშვილის კომიტეტმა პოზიცია არ დათმო და კომპრომისზე არ წავიდა. ამიტომ, მეცნიერებს გადაწყვეტილი აქვთ საპროტესტო აქცია კვლავაც გააგრძელონ, თუმცა, გრიგალაშვილის მტკიცებით, იმის მიუხედავად, რომ მათთან შეთანხმება ვერ მოხერხდა, მეცნიერებმა "გაბუტვის აქცია" შეწყვიტეს.

# ასათიანმა ფეხი გამოყო პენალტის დასარტყმელად

თამარ დვალი

აკაკი ასათიანი ამტკიცებს, რომ ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით არც საქართველოს და არც ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებას არანაირი კონკრეტული გეგმა არ გააჩნიათ.

"სახალხო ფორუმის" ლიდერის აზრით, ცხინვალის კონფლიქტის მოსაგვარებლად ომი უნდა გამოირიცხოს და ოფიციალური თბილისი კომპრომისზე წავიდეს, თუმცა კომპრომისის ზღვარი მკაცრად უნდა განისაზღვროს. გარდა ამისა, აკაკი ასათიანს მიაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ოსურ მხარეს სტატუსი უნდა შესთავაზოს. **"მე მიმაჩნია, რომ უნდა იყოს ცხინვალის ავტონომიური ოლქი სრული თვითმმართველობით,"** - მიიჩნევს ასათიანი. მისივე აზრით, ამ ამბის აჟიტირებით საქართველოს მთავრობას ქვეყანაში არსებული პრობლემების გადაფარვა სურს.

**"კოკოითის წერილით გამოწვეული სიხარული, ალბათ, ჩვენი ხელისუფლების უცოდინრობის ბრალია. მგონია, რომ სააკაშვილს არ ესმის, რასთან გვაქვს საქმე. ილუზიები იმის თაობაზე, რომ საქმეს ვინმე გაგვიკეთებს, სამუდამოდ უნდა დამთავრდეს,"** - მიიჩნევს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა "სახალხო ფორუმის" ლიდერი, თუმცა რატომ შეეხო ასათიანი ამ თემას, გაუგებარი დარჩა, რადგან ახალი და ორიგინალური მას არაფერი უთქვამს.



*აკაკი ასათიანმა თბილისის მერის პირდაპირი წესით არჩევის მოთხოვნაც გაიმეორა.*

აკაკი ასათიანმა თბილისის მერის პირდაპირი წესით არჩევის მოთხოვნაც გაიმეორა. მისი თქმით, მოსახლეობაში ხელმოწერების შეგროვება მომავალი კვირიდან დაიწყება.

**"დაახლოებით ერთ კვირაში ცნობილი გახდება საქართველოს პარლამენტის პოზიცია, რომელმაც საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნაზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. უმრავლესობის კომენტარები გვაფიქრებინებს, რომ მათი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით უარყოფითი იქნება. უარის შემთხვევაში ეს პროცესი მაინც გაგრძელდება და უფრო ფართომასშტაბიან ხასიათს მიიღებს. თუკი ჩვენი ხელისუფლება მზად არის კამიკაძეობისთვის, მაშინ გაწიროს თავი,"** - აცხადებს ასათიანი.

პარლამენტის თანხმობის შემთხვევაში, საკანონმდებლო ორგანომ საინიციატივო ჯგუფს სპეციალური ფორმები უნდა მისცეს, რომლის მიხედვითაც, საკანონმდებლო ინიციატივის განსახორციელებლად 30 ათასი ხელმოწერის შეგროვება დაიწყება.

იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი უარს იტყვის, ოპოზიციური პარტიები ნახევარი მილიონი ხელმოწერის შეგროვებას გეგმავენ.

# ემიგრანტები ლარის კურსის სტაბილურობაზე "ზრუნავენ"

პირველი გვერდიდან

**"უცხოეთიდან სწრაფი ფულადი გზავნილების მოცულობამ წლის ბოლოსათვის შეიძლება რეკორდულ მაჩვენებელს - 400 მილიონ აშშ დოლარს მიაღწიოს. გასული ორი წლის განმავლობაში საქართველოში გადმორიცხული თანხები ყოველწლიურად 200 მლნ აშშ დოლარს აჭარბებს, რაც მანამდე (2003 წლამდე) მხოლოდ 55 მილიონს არ აღემატებოდა",** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა დავით ამაღლობელმა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ფულადი გზავნილები რუსეთიდან ჭარბობს. გასულ ათ თვეში მეზობელი სახელმწიფოდან საკუთარი ოჯახებისთვის გამოგზავნილი თანხების ოდენობამ 110 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია (მთლიანი ფულადი გზავნილების თითქმის 45 პროცენტი). რუსეთის შემდეგ ყველაზე მეტი ფულადი გზავნილი წელს საქართველოში აშშ-დან დაფიქსირდა - 17 მილიონ 380 ათასი დოლარი. ყველაზე ცოტა 77 ათასი დოლარი - თურქმენეთიდან.

რამ განაპირობა ჩვენს ქვეყანაში ფულადი გზავნილების ასეთი მკვეთრი ზრდა და ძირითადად რაში იხარჯება ეს თნახა? - ამ კითხვებზე დავით ამაღლობელი ასე პასუხობს: **"უკანასკნელ პერიოდში ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისადმი უცხოეთში მცხოვრები ჩვენი მოქალაქეების ნდობის ხარისხი გაცილებით ამაღლდა, რამაც ელექტრონული ანგარიშსწორების სისტემების საშუალებით გადმორიცხული ფულადი სახსრების მოცულობის ზრდა განაპირობა. ამ თანხების დიდი ნაწილის დაბანდება სხვადასხვა აქტივებში, მათ შორის უძრავ ქონებასა და საწარმოთა აქციებში ხორციელდება, ნაწილი სამომხმარებლო ხარჯების დასაფინანსებლად მიემართება".**

უცხოური ვალუტის ამ რაოდენობით ქვეყანაში შემოსვლა, ეკონომიკური ექსპერტების შეფასებით, საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნების კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია, მითუმეტეს მაშინ, როცა იმპორტის მოცულობა სამჯერ აღემატება ექსპორტის მაჩვენებლს, ექსპერტების შეფასებით ფულად გზავნილებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ფულადი გზავნილები ეროვნული ვალუტის სტაბილურობის ერთ-ერთ მთავარ გარანტს წარმოადგენს.

გარდა ამისა, როგორც ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი ამბობს, კაპიტალდაბანდებების სახით უცხოური ვალუტის შემოდინება სავალუტო ბაზარზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენს. კერძოდ, შემოსული თანხების ძირითადი მასა ლარებში კონვერტირდება და ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნის მატებას განაპირობებს. **"შესაბამისად, ბაზარზე უცხოური ვალუტის მოცულობის მიწოდებაც ზრდის ტენდენციით ხასიათდება".**

## მოკლედ

### ბოლნისში ინდივიდუალური გამრიცხველიანება იწყება

დღეს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გენერალური დირექტორი დინ უითი ქალაქ ბოლნისში დანერგული ინდივიდუალური გამრიცხველიანების მიმდინარეობას გაეცნობა. დინ უაითი ადგილზე გააკეთებს კომენტარებს მედიის წარმომადგენლებისთვის და მოსახლეობას საკუთარი ხელით გადასცემს წერილებს, სადაც პირადად განუმარტავს თითოეულ აბონენტს ინდივიდუალური გამრიცხველიანების დეტალებს.

სგსკ-ს ქვემო ქართლის ფილიალის დირექტორის ირაკლი ელაშვილის განცხადებით, ეს პროექტი, რომლის საერთო ღირებულება 420 000 ლარს შეადგენს, ქალაქ ბოლნისის გამგეობისა და ენერგოკომპანიის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

პროექტის განხორციელება თავისთავად ნიშნავს გამრიცხველიანებულ და გადამხდელ აბონენტების პრივილეგირებულ ენერგომომარაგებას და შესაბამისად, მომხმარებელი ელექტროენერგიის საფასურის გადახდას საკუთარი მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამასთან, მრიცხველების ჩვენების ნაკითხვა და კონტროლი შესაძლებელი იქნება კარადის კარის გაღების გარეშე, შუშის სარქველების მეშვეობით.

პროექტი სავარაუდოდ 6 თვეში დასრულდება, ქალაქ ბოლნისში თავდაპირველად 525, ხოლო სულ 3 134 რუსული წარმოების ინდივიდუალური მრიცხველი განთავსდება.

საგულისხმოა, რომ ქალაქ ბოლნისში, მიმდინარე წლის გაზაფხულზე ანალოგიური პროექტის ფარგლებში სგსკ-ს ქვემო ქართლის ფილიალის ადმინისტრაციამ 170 აბონენტი ინდივიდუალური მრიცხველით უზრუნველყო.

ფილიალის დირექტორი ინდივიდუალურ გამრიცხველიანებასთან დაკავშირებით სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს აქტიური მხარდაჭერისაკენ მოუწოდებს და აბლადომინირებული ინდივიდუალური მრიცხველისათვის განკუთვნილი კარადის დაზიანების პრეცედენტზე საუბრობს, რის შესახებაც პოლიციას უკვე ეცნობა.

**"ასეთი ფაქტები სამართალდამცავების მხრიდან დაუყოვნებელ რეაგირებას საჭიროებს",** - დასძინა მან.

საყურადღებოა, რომ ამჟამად, სგსკ ინდივიდუალურ გამრიცხველიანებასა და ელექტროქსელების რეაბილიტაციას 15 ქალაქსა და დაბაში ახორციელებს, რისთვისაც სახელმწიფომ 20 მილიონი ლარი გამოყო. გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა კი ანალოგიური ღონისძიებებისათვის დამატებით 25 მილიონი ევრო გამოყო.

*24 საათი*

### მთავრობამ 2006 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი გაზარდა

საქართველოს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა დასრულდა. დღეს პარლამენტს დოკუმენტი გადაეცემა.

პარლამენტის შენიშვნების გათვალისწინებით, მთავრობამ 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი გაზარდა. როგორც პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ოთხშაბათს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, მომავალი წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 3 მილიარდ 285 მილიონ ლარით განისაზღვრა. ნოღაიდელის განმარტებით, ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა 216 მილიონ 800 ათასი ლარია, ხოლო დეფიციტის დაფინანსება სახაზინო და საგარეო წყაროებიდან მოხდება.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ცვლილებების მიხედვით, იუსტიციის სამინისტრო მომავალ წელს ბიუჯეტიდან დამატებით 9 მილიონ ლარს მიიღებს, რასაც თბილისში, გლდანის მიმდებარე ტერიტორიაზე, ახალი ციხის ასაშენებლად გამოიყენებს. სასამართლო რეფორმის განსახორციელებლად, საერთო სასამართლოების დაფინანსება 5,5 მილიონი ლარით გაიზრდება.

საზღვრის დაცვის დეპარტამენტი ჩრდილოეთ საზღვრის დაცვის გაძლიერების მიზნით დამატებით 4 მილიონ ლარს მიიღებს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხარჯები 80 მილიონი ლარით გაიზრდება, რაც სკოლების რეაბილიტაციას, ინვენტარიზაციას, კომპიუტერიზაციას და უმაღლესი სასწავლებლების ინვენტარიზაციას მოხმარდება. ნოღაიდელის განმარტებით, სკოლების რეაბილიტაციის პროგრამა, ასევე, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში, საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ სკოლებზეც გავრცელდება.

ენერგეტიკის სამინისტრო, გაზის საფასურის შესაძლო გაზრდის შემთხვევაში, ბიუჯეტიდან დამატებით 33 მილიონ ლარს მიიღებს. აღნიშნული საბიუჯეტო თანხების ხარჯზე მოხდება გაზის სამომხმარებლო ტარიფის სუბსიდირება, რათა მიმდინარე ზამთრის პერიოდში სამომხმარებლო ტარიფი უცვლელი დარჩეს.

სათემომხმარე გზების მშენებლობისთვის და სტიქიური მოვლენების საწინააღმდეგო წინასწარ ზომების მისაღებად 16,8 მილიონი ლარი გამოიყოფა. ნოღაიდელის თქმით, ამ თანხით პროფილაქტიკური და პრევენციული ღონისძიებები განხორციელდება და თბილისი-გორის ავტობანის პირველი, 18-კილომეტრიანი მონაკვეთი აშენდება. თბილისი-გორის ოთხზოლიანი გზის მშენებლობის დასრულება 2008 წლისთვის იგეგმება.

რეგიონების ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის მიზნით ბიუჯეტიდან 25,7 მილიონი ლარი დაიხარჯება. ევროკავშირის მიმართ არსებული ვალის დასაფარავად 23 მილიონი ლარია გათვალისწინებული. ფინანსთა სამინისტრო კი, ანტიკორუფციული ღონისძიებების გასატარებლად ბიუჯეტიდან დამატებით 1,5 მილიონ ლარს მიიღებს. **პრაიმ-ნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# როცა მშვიდობაზეა საუბარი, მოსაუბრის ვინაობას მნიშვნელობა არ აქვს

პირველი გვერდიდან

"ახალი მემარჯვენე" ფიქრია ჩიხრაძე ფიქრობს, რომ საქართველოს სახელმწიფოს არ აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული, თუ რა გზით აპირებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. **"ეს ყველაფერი წყლის ნაყვას ემსგავსება. რა თქმა უნდა, არსებობს ძალისმიერი გადაჭრის გზაც, მაგრამ ეს ვერ იქნება კონფლიქტის მოგვარების საბოლოო ვარიანტი. პირველ რიგში ჩვენს თავში ჩამოვაყალიბოთ გადაწყვეტილება და მერე მივცეთ მყარი გარანტიები ცხინვალის რეგიონის მოქალაქეებს,"** - განაცხადა მან.

"რესპუბლიკელი" პაატა ზაქარეიშვილი ნდობის აღდგენას უპირველეს აუცილებლობად მიიჩნევს. **"აფხაზეთისგან განსხვავებით, ოსურ კონფლიქტში საქართველოს ცალმხრივი ნაბიჯების გადადგმის საშუალება აქვს. აუცილებლად უნდა შეფასდეს 1990-92 წლების მოვლენები. ამით დავაკმაყოფილებთ ოსური მოსახლეობის მოლოდინს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართული საზოგადოება მათკენ ტრიალდება, ეს კი იმის გარანტია იქნება, რომ ძველ შეცდომებს აღარ დაუშვებს. მონანიება და შეცდომების აღიარება, არათუ სისუსტის, არამედ სიძლიერის მაჩვენებალია, ოსური საზოგადოება ამას ელოდება. ამდენად, ქართულმა მხარემ უნდა აღიაროს 91-92 წლების შეცდომები, რეპრესიები, როდესაც ოსი ეროვნების წარმომადგენლებს სამსახურიდან მისი წარმომავლობის გამო ათავისუფლებდნენ,** - ამბობს კონფლიქტოლოგი და პროგნოზსაც აკეთებს, - **ყოველივე ამის შემდეგ ოსეთის მოსახლეობა გაგებით მიუდგება საქართველოს ფერისცვალებას და შესაძლებელი გახდება სტატუსზე ლაპარაკიც. კონკრეტულ ვადებს თუ არ გამოვეკიდებით ხუთ წელიწადში შესაძლოა, არჩევნებიც კი ჩავატაროთ ცხინვალის რეგიონში."**


შეხვედრას ესწრებოდნენ სტუმრები ცხინვალის რეგიონიდან.

გუშინდელი შეხვედრა ალბათ ის გამონაკლისი იყო, სადაც სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენელთა განწყობას "ლეიბორისტებიც" იზიარებდნენ. გიორგი კუკავა აცხადებს, რომ კონფლიქტის მოგვარების ამოსავალი წერტილი მშვიდობიანი გზაა. **"ჩვენ ერთად უნდა ვიცხოვროთ, ერთ სახელმწიფოში. პირველ რიგში ორ მხარეს შორის ინტერესთა შეჯერება უნდა მოხდეს, ამის შემდეგ კი შესაძლებელია პოლიტიკურ სტატუსა და სახელმწიფოებრივ მოწყობაზე ფიქრი,"** - აღნიშნა მან.

როგორც ზემოთ აღინიშნა, შეხვედრას ესწრებოდნენ სტუმრები ცხინვალის რეგიონიდან. მათ საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვეს, თუმცა შეხვედრა დადებითად შეაფასეს და აღნიშნეს, რომ ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობის დასარეგულირებლად პირველ რიგში ინფორმაციული ვაკუუმის გარღვევაა მნიშვნელოვანი. ქართული მხარის პოზიციას, რომ კონფლიქტი მხოლოდ მშვიდობიანი დიალოგის გზით უნდა მოგვარდეს და სხვა ალტერნატივა არ არსებობს, ყველა ეთანხმება. მერე რა, რომ ჯერ ვინაობას ვერ ამხელენ...

# პარალელები შემთხვევითი თუ ლოგიკური?

პირველი გვერდიდან

**დ) ხანდაზმულობის ვადის მიუხედავად, უნდა შემუშავდეს სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც შესაძლებელს გახდის ეროვნული ნიშნით შეურაცხყოფილ და რეპრესირებულ ოსური წარმოშობის მოქალაქეთა ღირსებისა და უფლებების აღდგენას.**

**ე) საჭიროა, შერეული საკონტროლო კომისიის ფორმატში ან ორმხრივი ურთიერთობის ფარგლებში, ცხინვალის ხელისუფლებას ოფიციალურად მიეწოდოს "საქართველოს მთავრობის ინიციატივა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებასთან დაკავშირებით".**

**დარწმუნებული ვართ, ამ მოსაზრებათა გათვალისწინება ხელს შეუწყობს საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივის რეალიზაციას.**

**თქვენი სურვილის შემთხვევაში, შეგვიძლია მონაწილეობა მივიღოთ აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებაში,"** - ნათქვამია არასამთავრობოების 2005 წლის 6 აპრილის მიმართვაში.

ქართველი არასამთავროების მიერ შემუშავებული რეკომენდაციის ზემოთ მოყვანილი პუნქტები, ფაქტობრივად, ემთხვევა სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის მიერ გამოგზავნილი მიმართვის პუნქტებს.

**"როგორც კი საქართველოს მთავრობამ სერიოზული ნაბიჯები გადადგა და ოსურ მხარეს ნოემბერში გადასცა დოკუმენტი, ყველასთვის მოულოდნელად, ოსურმა მხარემ არ დააყოვნა პასუხი. მართალია, ამის უკან ბევრი სხვა დეტალიც იმალება, როგორიცაა დროის გაწელვა და სხვა, მაგრამ ფაქტია, ოსებმა აღიარეს, რომ რაღაც პოზიციაზე თანახმა არიან, ითანამშრომლონ საქართველოსთან,"** - აცხადებს 6 აპრილს "24 საათში" გამოქვეყნებული მიმართვის ერთ-ერთი ავტორი პაატა ზაქარეიშვილი. იგი არ გამორიცხავს, რომ კოკოითმა სიტყვები უკან წაიღოს ან პროვოკაციებიც მოაწყოს, მაგრამ მთავარია, რომ დოკუმენტი არსებობს, რომლის მსგავსიც ოსური მხრიდან არასდროს გვქონია.

6 აპრილის მიმართვის გამოქვეყნებამდე ერთი თვით ადრე, არასამთავრობო ორგანიზაციებს დახურულ კარს მიღმა საუბარი ჰქონდათ საქართველოს პრეზიდენტთან. **"მაშინ ჩვენ ეს საკითხები დავაყენეთ პრეზიდენტთან და აღვნიშნეთ, რომ უნდა მომხდარიყო წარსულის პოლიტიკური შეფასება. თუმცა, ჩვენდა გასაკვირად, მოულოდნელად ოსეთში ესკალაცია დაიწყო. ვილაცამ დაარწმუნა პრეზიდენტი, რომ დათმობა საჭირო არ იყო და პირდაპირ შეტევაზე უნდა გადასულიყო. ანუ პრეზიდენტს შესთავაზეს აჭარის ვარიანტი. ამის შემდეგ იძულებული ვიყავით, ჩვენი ესკალაციამდელი შეთავაზებები ღია საჯარო წერილით მიგვეწოდებინა პრეზიდენტისთვის,"** - ამბობს ზაქარეიშვილი.

უცხოეთი

# გროზნოდან ახმად-ყალამდე

ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოს შეიძლება სახელი გადაარქვან. საინფორმაციო სააგენტო "რია ნოვოსტი"-ს ინფორმაციით, რესპუბლიკის სახალხო კრების დეპუტატებმა მიმართეს ვლადიმირ პუტინს თხოვნით, ჩეჩნეთის დედაქალაქს ამიერიდან ახმად-ყალა ეწოდოს. მანამდე ეს ინიციატივა ახლახან არჩეულმა ჩეჩნეთის პარლამენტის ქვედა პალატამ მოიწონა.

ჩეჩენი დეპუტატები თავის თხოვნას იმით ასაბუთებენ, რომ ამ ნაბიჯით ჩეჩნეთის ყოფილი პრეზიდენტის ახმად კადიროვის - კაცის, "რომელიც ხალხისა და ჩეჩნეთის ინტერესების დაცვისას დაიღუპა" - სახელი იქნება უკვდავყოფილი.

გარდა ამისა, ჩეჩენი პარლამენტარების თქმით, რესპუბლიკის დედაქალაქის ამჟამინდელ სახელწოდებას არანაირი კავშირი არ აქვს ჩეჩენი ხალხის ისტორიასთან -იგი მხოლოდ ციხესიმაგრე "გროზნაია"-დან მომდინარეობს, რომელთანაც ჩეჩნებს არცთუ სასიამოვნო მოგონებები აკავშირებთ.

შეგახსენებთ, დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ჩეჩნების მიერ მოღალატედ შერაცხული ახმად-ჰაჯი კადიროვი 2004 წლის 9 მაისს ტერაქტის შედეგად დაიღუპა. აღსანიშნავია, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ქალაქის მთავარ გამზირს დაარქვეს გარდაცვლილის სახელი. ამას გარდა, ჩეჩნეთში აღმართულია კადიროვის მრავალი ძეგლი (მათ შორის ერთ-ერთი გროზნოს ცენტრალურ მოედანზე - ზურაბ წერეთლის ნამუშევარია.).

ნიშანდობლივია, გროზნოსთვის სახელის შეცვლის მცდელობა ერთხელ უკვე იყო - ჯოხარ დუდაევის დაღუპვის შემდეგ, იჩქერიის ხელისუფლებამ დედაქალაქს ჯოხარ-ყალა უწოდა. სხვათა შორის, ჩეჩენი მეამბოხეები გროზნოს დღესაც ასე მოიხსენიებენ.



ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოს შეიძლება სახელი გადაარქვან.

# ირანის პრეზიდენტი მორიგ ხისტ განცხადებას აკეთებს

## "მე სიონიზმის სამსახურში მყოფნი მაკრიტიკებენ"

ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი მორიგ ხისტ განცხადებას აკეთებს და ამტკიცებს, რომ ჰოლოკოსტი ევროპელების მიერ შექმნილი მითია.

**"ებრაელების მასობრივი მკვლელობების შესახებ მითი ევროპელებმა შექმნეს და ეს მითი ღმერთზე, რელიგიასა და წინასწარმეტყველებაზე მაღლა დააყენეს,"** - განაცხადა ირანის პრეზიდენტმა ქალაქ ზაჰედანის მცხოვრებთა წინაშე გამოსვლისას.

მისი თქმით, "მეორე მსოფლიო ომის დროს ებრაელთა მასობრივი მკვლელობები მოგონილი პრობლემაა. იმ შემთხვევაშიც, თუკი ევროპელები თავის დანაშაულს აღიარებენ, რატომ უნდა გაიღონ ამის საფასური დაჩაგრულმა პალესტინელებმა?" - და იქვე აჰმადინეჯადმა კვლავ გაიმეორა განცხადება ისრაელის ევროპაში, აშშ-ში ან კანადაში გადატანის შესახებ.

ანალოგიური განცხადება ირანის პრეზიდენტმა 7 ნოემბერს საუდის არაბეთის ქალაქ მეჯეთში გააკეთა, გასულ ორშაბათს კი თეირანში "პალესტინაში ისლამური რევოლუციის დაცვის საერთაშორისო კონგრესის" სხდომაზე გაიმეორა.

მექაში გამოსვლისას აჰმადინეჯადმა ევროპის იმ ქვეყნებს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის წლებში ებრაელთა დაღუპვაში თავს დამნაშავედ გრძნობენ, მოუწოდა, საკუთარი ტერიტორიის ნაწილი ებრაულ სახელმწიფოს დაუთმონ და ამგვარად გადაწყვიტონ პალესტინის პრობლემა.

რაც შეეხება ირანული მედიის პოზიციას, როგორც "ბი-ბი-სი" აღნიშნავს, ირანული მედიასივრცის წარმომადგენლები არამცთუ არ აკრიტიკებენ პრეზიდენტს ექსტრემისტული განცხადებების გამო, არამედ ლოგიკურსაც კი უწოდებენ.


ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი.

ირანის პრეზიდენტის გამონათქვამები დაგმო მსოფლიოს ბევრმა სახელმწიფომ, ასევე გაერო-ს უშიშროების საბჭომ. აჰმადინეჯადის გუშინდელ განცხადებას ევროკავშირი და ისრაელი უკვე გამოეხმაურნენ.

**"ეს სიტყვები სრულიად მიუღებელია,"** - განაცხადა დიდი ბრიტანეთის ევროპის საქმეთა მინისტრმა დუგლას ალექსანდრმა.

ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-მდივანმა მარკ რეგევმა კი ირანის პრეზიდენტის გამონათქვამებს "ექსტრემისტული" უწოდა და იმედი გამოთქვა, რომ ამის შემდეგ საერთაშორისო გაერთიანებას ირანის დღევანდელ რეჟიმთან დაკავშირებით "ყველა ილუზია გაუქრება".

**"საერთაშორისო საზოგადოებამ თვალი არ უნდა დახუჭოს ამ განცხადებებზე და შეეგუოს მშვიდად იმ ფაქტს, რომ ასეთი ექსტრემისტული იდეოლოგიის მქონეებთ ხელი მიუწვდებათ მასობრივი განადგურების იარაღზე,"** - აღნიშნა ისრაელის მხარემ.

ოფიციალური ბერლინის განცხადებით კი, აჰმადინეჯადის ასეთი განცხადებები აუცილებლად უარყოფით გავლენას იქონიებს ბირთვულ იარაღთან დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკებებზე, რომელსაც ირანი ევროკავშირთან აწარმოებს.

*ბი-ბი-სი*

# "გაზპრომი" უკრაინას გაზს 220-230 დოლარად მიჰყიდის

კონცერნ "გაზპრომის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ალექსანდრ მედვედევმა განაცხადა, რომ რუსეთი უკრაინას ათას კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს 160 დოლარის ნაცვლად, 220-230 დოლარად მიჰყიდის.

მისი თქმით, გაზის საკითხზე უკრაინასთან მიმდინარე მოლაპარაკებაზე არანაირი წინსვლა არ შეინიშნება. უკრაინამ, მოლაპარაკების გაჭინაურებით ხელიდან გაუშვა დრო, როცა ათასი კუბური მეტრი გაზის 160 დოლარად მიყიდვაზე საუბარი შეიძლებოდა, - აღნიშნა მედვედევმა.

მან განმარტა, რომ ბაზარზე სიტუაცია გამუდმებით იცვლება და ახლა მხოლოდ იმ ფასზე შეიძლება საუბარი, რომელიც, ევროპული ფასების შესაბამისად, რუსეთის და უკრაინის საზღვარზე ფორმირდება. **"ფასები უკრაინის ტერიტორიაზე გაზის ტრანზიტის ხარჯების გათვალისწინებით ყალიბდება,"** - დააზუსტა მედვედევმა.

მისივე თქმით, უკრაინაში ექსპორტირებული გაზის ფასი ფიქსირებული არ იქნება. ის ფასის საყოველთაოდ მიღებული ფორმულით განისაზღვრება, რომელიც ბაზრის კონიუნქტურაზე და ნავთობპროდუქტების კალათის რეალურ საბაზრო ფასებზეა დამოკიდებული. ეს ფორმულა სხვა სახეობის საწვავის ფასებს ითვალისწინებს. **"2006 წლის 1 იანვრიდან, აღნიშნული ფორმულით განსაზღვრული ფასი რუსეთ-უკრაინის საზღვარზე 220-230 დოლარს შეადგენს,"** - განაცხადა "გაზპრომის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ.

რუსეთის ფინანსთა მინისტრი ალექსეი კუდრინი უკრაინისთვის რუსული ბუნებრივი აირის გაძვირებას მართებულ ნაბიჯად თვლის. მისი თქმით, უკრაინისთვის რუსული გაზის საფასურის მომატების შედეგად, რუსეთის საბიუჯეტო შემოსავლები გაიზრდება, ვინაიდან "გაზპრომი" მეტ გადასახადს გადაიხდის.

**"დრო, როცა ჩვენ ურთიერთობებს რუსული ეკონომიკის მიერ ახლომდებარე ქვეყნების ეკონომიკის ნახევრად სუბსიდირების გათვალისწინებით ვაგებდით, თანდათან მიდის. ჩვენ საკუთარ ინტერესებზეც უნდა ვიფიქროთ,"** - აღნიშნა კუდრინმა.

*ინტერპრესნიუსი*

# მოიძებნება შეხების წერტილები?

პირველი გვერდიდან

არავინ დავობს იმაზე, რომ გალის რაიონში, საკუთარ მიწა-წყალზე დაბრუნებული მოსახლეობა, უმძიმეს სოციალურ პირობებში იმყოფება; არავინ დავობს იმაზე, რომ იქ მცხოვრები ქართველების ელემენტარული უფლებები თითქმის ყოველდღე ირღვევა; რომ უკიდურესად მძიმეა კრიმინოგენული ვითარება და, საერთოდ, ის პროცესები, რომლებიც გალის რაიონში მიმდინარეობს, ნამდვილად არ ემთხვევა ქართული სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებს. მაგრამ, ამის მიუხედავად, არავინ უნდა დავობდეს იმაზეც, რომ არსებულ ვითარებაში, კონფლიქტის დარეგულირების ერთადერთი გზა სწორედ სამშვიდობო პროცესის შეუქცევადობა და პირდაპირი, შუამავლის გარეშე არსებული ქართულ-აფხაზური დიალოგია. სწორედ ასეთი დიალოგების მიღწევას ისახავს მიზნად ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებათა პროცესში საქართველოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის მიერ გაკეთებული განცხადება.

მოსალოდნელია, რომ ბევრ კითხვას გაეცეს პასუხი საქართველოს პრეზიდენტისა და დე-ფაქტო ხელისუფლების ლიდერის შესაძლო შეხვედრაზე. მიუხედავად იმისა, რომ ბაგაფშის პროქართულობის შესახებ ილუზია ნელნელა გაქრა, ერთმანეთთან უშუალო დიალოგისას, სავარაოდოა, მხარეებმა შეხების საერთო წერტილები და საერთო ფასეულობები მონახონ. მსგავსი შეხების წერტილი შეიძლება იყოს გალის რაიონში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხი და იქ არსებული რთული კრიმინოგენული ვითარება (განსაკუთრებით რაიონის ქვედა ზონის სოფლებში). ადამიანის უფლებათა ოფისის გახსნას ბაგაფშის ხელისუფლება ჯერჯერობით კი ეწინააღმდეგება, მაგრამ საერთაშორისო საზოგადოების, მეგობართა ჯგუფისა და თავად გაერო-ს ზეწოლის შემდეგ, ასეთი ოფისის გახსნა წარმოუდგენელი სულაც არ არის.

წარმოუდგენელი არც ისაა, თუ დსთ-ს ჯარი, ადრე თუ გვიან, დატოვებს ჩვენს ტერიტორიას.

რაც შეეხება ტელეკომპანია "ენ-ტე-ვეს" ეთერით გადაცემულ სიუჟეტს, რომელშიც ნათლად ჩანს, რომ რუს სამხედრო მოსამსახურეებს აფხაზეთის შესახებ სპეციალური ინსტრუქტაჟი უტარდებათ და სრული დეზინფორმაცია მიეწოდებათ, ერთი მხრივ, შეიძლება ეს სასარგებლოც კი იყოს. ამასთან დაკავშირებით აფხაზეთის საინფორმაციო პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ "აღნიშნული შემთხვევა მოითხოვს განმარტებებს სამშვიდობო ძალების სარდლობისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ტელევიზიით გამოთქმული დამახინჯებული მოსაზრება სარდლობის პოზიციად ჩაითვლება, რასაც ქართული მხრისგან ადეკვატური რეაგირება მოჰყვება."

# ხაჭაპურიძეების მკვლელობა - ბიზნესში კონკურენტთა ლიკვიდაცია

*გუშინ გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ექვსი თვის წინ გატაცებული ხაჭაპურიძეებისა და ლომიძის ცხედრებს ჭირისუფლებს დღეს დაუბრუნებენ, დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს ოთხი ქართველის ცხედარი ოჯახის წევრებისთვის, დაპირებისამებრ, გუშინ უნდა დაებრუნებინათ, თუმცა, ვარაუდი არ გამართლდა.*

ათდღიანი საპროტესტო აქცია კონფლიქტის ზონაში სწორედ ამ დაპირების გამო შეწყდა. გავრცელებული ვერსიით, ბიძაშვილები ხაჭაპურიძეები და მათი ახლობელი ლომიძე იმ ოთხი ოსის ნათესავების შურისძიებას ემსხვერპლნენ, რომლებიც რამდენიმე თვის წინ, კონფლიქტის ზონაში ქართველ პოლიციელებთან შეტაკებისას დაიღუპნენ.

გატაცებულთა ნათესავები, რომლებსაც ჯავა-ცხინვალის მაგისტრალი რამდენიმე დღის განმავლობაში ჰქონდათ გადაკეტილი, გუშინწინ, სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტს ედუარდ კოკოითს, განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს ბორის ჩოჩიევს და შინაგან საქმეთა მინისტრს მიხეილ მინძაევს შეხვდნენ. შეხვედრის დროს, დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები ხაჭაპურიძეებს ცხედრების დაბრუნებაში დახმარებას დაჰპირდნენ. აქციის მონაწილეებმა მათ სანმდღიანი ვადა მისცეს.

სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის შსს-ში მიიჩნევენ, რომ ძმები ხაჭაპურიძეების მკვლელობა კრიმინალურ ხასიათს ატარებდა, ვიდრე პოლიტიკურს. ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო "რეგნუმს" სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში მკვლელობაში ეჭვმიტანილ იმ პირებზე დაყრდნობით აცნობეს, რომლებიც ამჟამად ამ დღეებში ჩვენებებს იძლევიან.

**"ეს ბიზნესში კონკურენტთა ლიკვიდაციაა, რაც 29 მაისს ოთხი ოსი სამხედრო მოსამსახურის დახვრეტას დაემთხვა",** - აცხადებენ დე ფაქტო ხელისუფლების შსს-ში.

ოსური მხარის ინფორმაციითვე, გატაცებულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ ხაჭაპურიძეებს გარკვეული წვლილი შეჰქონდათ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებასა და ქართულ-ოსური კონფლიქტის ქართული სოფლების მცხოვრებლებთან დიალოგის დამყარებაში. მაგალითად, დიდი ხნის მანძილზე ორ მხარეს შორის მოლაპარაკებებში შუამავალი ძმები ხაჭაპურიძეების ახლო ნათესავი - ვაჟა ხაჭაპურიძე იყო. **"როგორც ჩანს, არიან პირები, რომლებსაც ხელს არ აძლევდა კონფლიქტის ზონაში ქართულ და ოსურ მხარეებს შორის დიალოგი",** - ასეთია სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის შსს-ს გუშინდელი ინფორმაცია.

*24 საათი*

# გიორგი ბარამიძე ევროკავშირს გააქტიურებას სთხოვს

13 დეკემბერს საქართველოს დელეგაცია ევროკავშირის ე.წ. "ტროიკას" შეხვდა. საქართველოს წარმოადგენდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე, ევროკავშირის მხარეს ხავიერ სოლანა ხელმძღვანელობდა. შეხვედრაზე ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში სამოქმედო გეგმის მიმდინარეობა, საქართველოს პრიორიტეტები და რეგიონული თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. გელა ბეჟუაშვილმა რეგიონში არსებული კონფლიქტების მოგვარების სამშვიდობო გეგმის შესახებ ისაუბრა. გიორგი ბარამიძემ კი ყურადღება გაამახვილა საქართველოში მიმდინარე რეფორმებსა და მიღწევებზე.

ევროკავშირის წარმომადგენლებმა საქართველოში მიმდინარე რეფორმებისა და კონფლიქტების მოგვარების სამშვიდობო გეგმის განხორციელებაში საქართველოსადმი მხარდაჭერა გამოხატეს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში სამოქმედო გეგმის შედგენისას საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმის შესაბამისი პრიორიტეტები მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული.

მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა ევროკავშირში გერმანიის მუდმივ წარმომადგენელთან ვილჰელმ შონფელდერთან. სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ბარამიძემ შონფელდერს საქართველოში მიმდინარე პროცესები, სამშვიდობო გეგმის დეტალები გააცნო და აღნიშნა, რომ ევროკავშირმა კონფლიქტების მოგვარების თემა რუსეთთან დიალოგის დროს მუდმივად უნდა დააყენოს.

## სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი აცხადებს კონკურსს სავაჭრო წარმომადგენლის შესარჩევად

**ძირითადი ფუნქცია-მოვალეობები:** კანდიდატს მოეთხოვება, მოახდინოს კომპანია ალდაგის დაზღვევის პროდუქტების რეალიზაცია კომპანიის მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად. ვალდებულია დაიცვას კომპანიის იმიჯი და მომსახურების დამტკიცებული სტანდარტები იურიდიულ და კერძო პირებთან მუშაობისას.

**ანაზღაურება გამომუშავებით.**

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები**:
- უმაღლესი განათლება;
- სამუშაო გამოცდილება 5-7 წლამდე, სასურველია გაყიდვების და/ან მარკეტინგის განხრით;
- სასურველია ფლობდეს რუსულ და ინგლისურ ენებს.

შერჩეულ კანდიდატებს ჩაუტარდებათ სპეციალური ტრენინგი სადაზღვევო კომპანია ალდაგში.

**განცხადების წარდგენის პირობები**: ავტობიოგრაფიული მონაცემები, 1 ფოტოსურათი და წერილი, სადაც თქვენს მიერ დასაბუთებული იქნება თქვენი კვალიფიკაციის და გამოცდილების შესაბამისობა სადაზღვევო აგენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, შეგიძლიათ გამოგზავნოთ შემდეგ რეკვიზიტებზე: ელფოსტა: HR@aldagi.com.ge ან მისამართზე: მელიქიშვილის გამზ.16.

**განაცხადების წარდგენის საბოლოო ვადაა 16 დეკემბერი.**

## დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საყურადღებოდ!

ა/წლის 13 დეკემბრიდან შპს "საქართველოს რკინიგზა"-მ საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნა საკონკურსო წესით შესასყიდი პროდუქციის ნუსხა (გამცილებლის ფორმები, რელსი და სხვა).

შესყიდვებთან დაკავშირებული ყველა დამატებითი ინფორმაცია გთხოვთ, მოიძიოთ http://www.railway.ge (ტენდერები) მისამართზე.

bp gtz IS International Services btc

გერმანიის ტექნიკური დახმარება (GTZ) BP/BTC-ის სახელით, BP-s რეგიონალური განვითარების ინიციატივის და ერთობლივი საწარმოს პარტნიორების ფარგლებში მალე დაიწყებს ***ბიზნესის განვითარების პროგრამას ბორჯომის რეგიონში (BDP ბორჯომი)***. პროგრამა არსებითად დაეხმარება მცირე-ზომის მეწარმეებს და მცირე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას საკუთარი პროდუქციის, სტრუქტურისა და კონკურენტუნარიანობის განვითარებაში, რაც თავის მხრივ გაზრდის დასაქმებას და თვითდასაქმებას კერძო სექტორში და ხელს შეუწყობს ბორჯომის რაიონის სოფლებსა და ქალაქებში მცხოვრები მოსახლეობის უფრო მაღალი შემოსავლისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

BDP-ბორჯომი ***პროგრამის განმახორციელებელ ერთეულში (PIU)*** ბორჯომში აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე:

***მდივანი/ოფის მენეჯერი***

*სამუშაოს დახასიათება:*
- მიღება/რეცეფცია;
- დახმარება ოფისისა და მისი მოწყობილობების ყოველდღიურ მომსახურებაში;
- დახმარება ოფისის საქმიანობაში პროცესებისა და პროცედურების თანამიმდევრული მართვის უზრუნველსაყოფად;
- ოფისის მოწყობილობებისა და საქონლის ინვენტარიზაციის წარმოება, მათი მარაგის საჭიროებისამებრ შევსების გათვალისწინებით;
- ჯგუფის ხელმძღვანელის დავალებით სტრუქტურული და ლოგისტიკური საჭიროების ორგანიზება;
- დახმარება ოფისის ყოველდღიურ საქმიანობაში;
- ჯგუფის ხელმძღვანელის დავალებით სხვა მოვალეობების შესრულება.

*სამუშაო გამოცდილება და განათლება:*
- უმაღლესი განათლების დიპლომი შესაბამის დარგში;
- ქართული, ინგლისური და/ან გერმანული ენების თავისუფლად ფლობა;
- პიროვნებათშორისი ურთიერთობების საუკეთესო უნარი;
- გუნდის წევრად მუშაობის უნარი;
- დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;
- საჭიროების შემთხვევაში მოქნილი სამუშაო დროის გამოყენების სურვილი;
- კომპიუტერისა და ოფისის მოწყობილობების საუკეთესო ცოდნა.

***მთარგმნელი/თარჯიმანი***

*სამუშაოს დახასიათება:*
- ზეპირი თარგმნა ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- დოკუმენტების თარგმნა ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- თანამშრომელთა შედეგებზე დაფუძნებული საზოგადოებრივ ურთიერთობათა მასალების, სამუშაო შედეგების და კვლევების თარგმნა;
- მოკლე-ვადიანი მთარგმნელ/თარჯიმნის აყვანა სპეციალიზირებულ სფეროებში და ზედამხედველობა მისი მოკლე-ვადიან საერთაშორისო ექსპერტთან ურთიერთობის პროცესში;
- სხვა მოვალეობები რაც შეიძლება დავალებულ იქნას.

*სამუშაო გამოცდილება და განათლება:*
- უმაღლესი განათლების დიპლომი შესაბამის დარგში;
- ქართული და ინგლისური ენების თავისუფლად ფლობა;
- ქართულ და ინგლისურ ენებზე დოკუმენტების თარგმნის მყარი გამოცდილება;
- სოციალური კომპეტენტურობა;
- საოფისე მოწყობილობების საუკეთესო ცოდნა;
- მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება.

***მძღოლი***

*სამუშაოს დახასიათება:*
- მანქანის მართვა ბორჯომსა და თბილისში;
- მანქანის მოვლა;
- დახმარება ოფისსა და საველე სამუშაოებზე;
- სხვა მოვალეობები, რაც შეიძლება დავალებულ იქნას.

*სამუშაო გამოცდილება და განათლება:*
- მოქმედი მართვის უფლება;
- მანქანის მართვის გამოცდილება და უსაფრთხო მართვა;
- ინგლისურად კომუნიკაციის უნარი;
- დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;
- საჭიროების შემთხვევაში მოქნილი სამუშაო დროის გამოყენების სურვილი;
- გუნდის წევრად მუშაობის უნარი;
- პიროვნებათშორისი ურთიერთობების საუკეთესო უნარი და სამუშაოზე ორიენტირებულობა.

***ფინანსური ოფიცერი/ადმინისტრატორი***

*სამუშაოს დახასიათება:*
- ადგილობრივ გრძელვადიან თანამშრომლებთან დაკავშირებული საკითხების მართვა;
- ყველა მოკლევადიან ექსპერტთან დაკავშირებული საკითხების მართვა (მოკლე-ვადიანი ექსპერტები, მწვრთნელები და ინსტრუქტორები, თარჯიმნები და სხვა);
- ყველა საბუთის მომზადება (ინვოისი, დოკუმენტი, სხვ.) ბუღალტერიისა და ანგარიშგებისათვის;
- ბიუჯეტისა და ხარჯების მართვა;
- გადასახადებთან, საბაჟოსა და კანონმდებლობასთან დაკავშირებული საკითხების მართვა Gtzd-ის ოფისის ხელმძღვანელთან მჭიდრო ურთიერთკავშირში;
- ზედამხედველობა ადგილობრივ და რეგიონალურ შესყიდვებზე;
- პირდაპირი ხარჯების მართვა;
- პარტნიორ ოგანიზაციებსა და ინდივიდულურ მეწარმეებთან კონტრაქტების მართვა;
- დოკუმენტირება;
- სხვა მოვალეობები და დავალებები რაც შეიძლება დავალებულ იქნას ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ.

*სამუშაო გამოცდილება და განათლება:*
- უმაღლესი განათლების დიპლომი საფინანსო/საბუღალტრო, ან შესაბამის დარგში;
- ქართული და ინგლისური ენების წერილობით და ზეპირად თავისუფლად ფლობა;
- ამ სფეროში მინიმუმ 3 წლის მუშაობის გამოცდილება (კერძო კომპანია, საერთაშორისო ორგანიზაცია);
- ფინანსური აღრიცხვის პრინციპებისა და სტანდარტების წარჩინებით ცოდნა;
- კარგი საკომუნიკაციო და ორგანიზაციული უნარები;
- შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების კარგად ცოდნა;
- შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნება (საქმეზე ორიენტირებულობა).

***განაცხადის შემოტანის წესი***

გთხოვთ, გამოგზავნოთ ფოსტით დახურული კონვერტით დეტალური დახასიათება (CV) და მოტივაციის წერილი GTZ-ის თბილისის ოფისში ჰორსტ ამანის სახელზე. მისამართი: თბილისი 0160, შარტავას ქ. 41.

***განაცხადების მიღების ბოლო ვადა:***
23 დეკემბერი 2005, პარასკევი 17:00

მხოლოდ უძლიერესი კანდიდატები იქნებიან მოწვეული ინტერვიუზე. კანდიდატს უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა სამუშაოს შეთავაზებისთანავე შეუდგეს მუშაობას.

არ დაიშვება სატელეფონო ზარები ან ვიზიტი.

# სამეანო დახმარების სახელმწიფო პროგრამის მონიტორინგი

*2004 წლიდან, "სამეანო დახმარების სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში, მშობიარობის ღირებულების ანაზღაურება სახელმწიფომ თავის თავზე აიღო. სამეანო დახმარების სახელმწიფო პროგრამის მონიტორინგის შედეგებს "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია" აქვეყნებს. მათი მონაცემებით, გამოკითხულთა 80 პროცენტი ფიქრობს, რომ სამედიცინო დაწესებულებაში "სრულიად უფასოდ" მშობიარობა აბსოლუტურად შეუძლებელია. მშობიარეთა თქმით, თითქმის ყოველთვის საჭირო ხდება გარკვეული გადასახადის გადახდა - როგორც ოფიციალურად, ისე არაოფიციალურად.*

თამარ დვალი

ზუგდიდის რაიონში, რომელიც სოციალურად დაუცველი მოსახლეობით ერთ-ერთ ყველაზე კომპაქტურად დასახლებულ რაიონს წარმოადგენს, სამეანო დახმარების პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით, მშობიარეთა გამოკითხვა ჩატარდა. ამ რაიონში სამეანო ბარათის ღირებულება სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ იქნა 150 ლარით (შედარებისთვის: ქ. თბილისში ეს თანხა 200 ლარს შეადგენს, ბათუმში, ქუთაისსა და რუსთავში - 170 ლარს, ხოლო დანარჩენ რაიონებში - 150 ლარს).

"ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" მიერ გამოკითხულ იქნა ზუგდიდის ცენტრალური საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილებიდან 2005 წლის იანვარ-ივნისში გაწერილი, ზუგდიდის რაიონში მცხოვრები თითქმის ყველა მშობიარე, რომელთა მონახვაც ავადმყოფობის ისტორიაში გაფორმებული რეკვიზიტების მიხედვით მოხერხდა.

აღნიშნულ სამშობიაროში "დამატებითი მომსახურების პაკეტი" გამოკითხვის პერიოდში არ არსებობდა - ის მხოლოდ ივლისში შემოიღეს. შესაბამისად, ამ პერიოდში სამედიცინო მომსახურება მთლიანად უფასო უნდა ყოფილიყო.

"ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" თავმჯდომარის ანა ქათამიძის განმარტებით, კვლევის ჩატარებისას მთავარ სირთულეს პაციენტების მიკვლევა წარმოადგენდა.

**"საქმე ისაა, რომ ავადმყოფობის ისტორიაში არასწორადაა გაფორმებული პაციენტის რეკვიზიტები, არა მარტო მისამართი, არამედ ხშირად - ვინაობაც,"** - აღნიშნა ქათამიძემ. მისივე ინფორმაციით, გამოკითხულთა საშუალო ასაკი 25 წელს შეადგენს, პაციენტთა 65 პროცენტი, და მათი მეუღლეების 45 პროცენტი კი უმუშევარია. პაციენტის ოჯახის თვიური შემოსავალი, თვითშეფასებით, 198 ლარს შეადგენს.

გამოკითხულთა მხოლოდ ნახევარი აღნიშნავს, რომ მათ სმენიათ სახელწოდება "სამეანო დახმარების სახელმწიფო პროგრამა". **"როგორც აღმოჩნდა, ამ ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს ქალთა კონსულტაციები, თუმცა აქ მიღებული ინფორმაცია სამეანო ბარათით გათვალისწინებული შეღავათების შესახებ ძალიან მწირია. ასე მაგალითად, მათ შორის, ვისაც აღებული ჰქონდა სამეანო ბარათი, მხოლოდ 60-მა პროცენტმა იცის მისი ზუსტი ღირებულება (150 ლარი). ეს გაუგებრობა, ალბათ, იმითაც არის გამოწვეული, რომ სამეანო ბარათები მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიბეჭდა შეცდომით. უფრო სწორად, მათზე მითითებულია გეგმით გათვალისწინებული ღირებულება, რომელიც 20-30 ლარით აღემატებოდა არსებულს. მაგრამ შემდგომ პროგრამის ბიუჯეტით დაგეგმილი ტარიფები არ დამტკიცდა,"** - განაცხადა ანა ქათამიძემ.

ორსულთა 23 პროცენტს სამშობიაროში მოთავსებისას არ ჰქონდა სამეანო ბარათი. ამის ძირითად მიზეზად სამეანო ბარათის შესახებ ინფორმაციის არქონა გვევლინება. თუმცა, გამორიცხული არ არის ფინანსური ბარიერიც. ფრიად საყურადღებოა ფაქტი: გამოკითხულთა მხოლოდ 68 პროცენტი პასუხობს, რომ ვაუჩერი უფასოდ აიღო, 24 პროცენტი პასუხისგან თავს იკავებს, ხოლო 8 პროცენტი აღნიშნავს, რომ გარკვეული თანხის (2-დან 20 ლარამდე) გადახდა დასჭირდა.

მშობიარობაზე გაწეული სამედიცინო ხარჯების ანალიზმა აჩვენა, რომ თითოეული პაციენტის ოჯახმა მშობიარობაზე საშუალოდ 300 ლარი (მინიმუმი -130, მაქსიმუმი - 900) დახარჯა. ამ თანხის დაახლოებით ნახევარი - 150 ლარი დაკავშირებული იყო სამედიცინო პერსონალის "ანაზღაურებასთან".

**"სახელმწიფოს მიერ მშობიაროობაზე გამოყოფილი თანხა (150-200 ლარი ერთ შემთხვევაზე) კვალიფიციური სამეანო მოსახურებისათვის აუცილებელ სამედიცინო მინიმუმსაც კი ვერ ფარავს. რეალურად, მშობიარობა არათუ არ არის სრულიად უფასო (როგორც ეს "სამეანო დახმარების სახელმწიფო პროგრამაშია" გათვალისწინებული), არამედ ხშირად მშობიარის ოჯახისათვის ძნელად ხელმისაწვდომ ხარჯებთან არის დაკავშირებული,"** - განაცხადა ანა ქათამიძემ.

ექსპერტთა შეფასებით, მშობიარობაზე სახელმწიფო ტარიფი, მინიმუმ, 500 ლარამდე უნდა გაიზარდოს, რათა უზრუნველყოფილ იქნას მშობიარობისათვის აუცილებელი სამედიცინო მინიმუმი.

როგორც ჯანდაცვის პოლიტიკის დეპარტამენტში აცხადებენ, "სამეანო დახმარების სახელმწიფო პროგრამა" 2006 წლის ივლისამდე გაგრძელდება. შემდგომში კი შესაძლებელია, შეიცვალოს.

**"არ მიმაჩნია, რომ აღნიშნული პროგრამა არაეფექტურად მუშაობს. სტატისტიკური მონაცემებით, შობადობის მაჩვენებელი გაზრდილია. თუკი რომელიმე პაციენტს ვაუჩერს არ გადასცემენ, მას შეუძლია ცხელი ხაზის მეშვეობით მოგვმართოს,"** - განაცხადა ჯანდაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ზაზა ბოხუამ.

# მიტოვებულთა მსახურნი

*რძით გატიკნილი მამის მოსახელე სამი თვის ლუკა იმ 71 ჩვილთაგანია, რომელიც დედათა და ჩვილ ბავშვთა თავშესაფრის მეშვეობით მიტოვებას გადაურჩა. ლუკა ნაადრევად დაიბადა, დედის ნერვიულობის გამო, რაც მამის უცაბედმა გაუჩინარებამ გამოიწვია. ლუკას მშობლებს უკვე თავ-თავიანთი ოჯახები ჰყავთ.*

მაია კობახიძე

სამშობიაროში პატარას სიხარულით ნამდვილად არავინ ელოდა. ვილაც-ვილაცეებმა დედას შვილის დატოვება ურჩიეს. ამაოდ, თუმცა სხვა გზა არ ჩანდა. გამოსავალი მალე მოიძებნა - დედა-შვილი სოციალური მუშაკის დახმარებით თავშესაფარში აღმოჩნდა თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის ტერიტორიაზე. მერე ლუკას მამაც გამოჩნდა. ახლა იგი ბინას ეძებს, დედა-შვილი რომ გადაიყვანოს.

"ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის" პროექტის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ბავშვის ძირითად უფლებას - იცხოვროს და აღიზარდოს ოჯახურ გარემოში. ეს პროექტი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია სახელმწიფოს მცდელობისა, ეფექტური რეფორმა გაატაროს ბავშვთა სახლებთან დაკავშირებით. პროექტი 2002 წლიდან მიმდინარეობს და მას ერთობლივად ახორციელებენ საერთაშორისო ორგანიზაციები: ვორლდ ვიჟენი (World Vision) - საქართველო, იუნისეფი (UNICEF), ევრი ჩაილდი (EveryChild) და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროები.

საქართველოს ბავშვთა სახლების შესწავლისას, რომლის მობინდრეთა რიცხვი ხუთი ათასზე მეტია, აღმოჩნდა, რომ უმრავლესობას (87%) ბიოლოგიური მშობლები ცოცხალი ჰყოლია. ეს ბავშვები დედის უბეს დააშორა სიღარიბემ და მძიმე სოციალურმა პირობებმა, აგრეთვე, მარტოხელა დედებთან თუ უნარშეზღუდულ ადამიანებთან დაკავშირებით საზოგადოებაში არსებულმა გარკვეულმა სტერეოტიპებმაც.

რა მომავალი ელით საბავშვო სახლებში აღზრდილთ? იმისთვის რომ პატარას მიტოვების საფრთხე აარიდონ, პროექტის ფარგლებში მომზადებული სოციალური მუშაკები აქტიურ "ბრძოლას" სამშობიარო სახლებსა და ქალთა საკონსულტაციო ცენტრებში იწყებენ. როგორც აღნიშნავს სოცმუშაკი მარიამ უკლება, თავდაპირველად სამედიცინო პერსონალი მათ უნდობლად შეხვდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ყინული გალღვა. მარიამ უკლება განათლებით ბიოლოგია და მან სამი წლის წინათ შეიძინა საქართველოსთვის ჯერ კიდევ ახალი პროფესია სოციალური მუშაკისა, რომელიც ადამიანისგან მოითხოვს დიდ მოთმინებას, ენერგიას, სითბოს, კომუნიკაბელურობას, ადამიანის ფსიქოლოგიის ცოდნასა და ზოგჯერ შემტევი ხასიათის გამოჩენასაც. ადვილი როდია მოინადირო გამწარებული და სასოწარკვეთილი დედის გული და თან გადალახო სახელმწიფო სტრუქტურებში არსებული ბიუროკრატიული ბარიერები გაჭირვებულთათვის დახმარების მოსაპოვებლად. ამ მიზანმიმართული შრომის შედეგი კი დღეისათვის 134 მიტოვებას გადარჩენილი ჩვილია. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ჩვილის სანათესაოსთან სოციალური მუშაკის რამდენიმე შეხვედრა იძლევა იმის შესაძლებლობას, დედა-შვილი სამშობიაროდან პირდაპირ მშობლიურ კერას დაუბრუნდეს, ისე რომ სულაც არ დასჭირდეს თავშესაფარში დროებით დაბინავება.

თუ დედა-შვილი რაიონში ბრუნდება, მათ თავშესაფართან არსებული დასაქმების ცენტრი ხელცარიელს არ უშვებს. პრაქტიკამ აჩვენა, რომ სოფელში ცხოვრებისას პატარას გამოსაკვებად გაცემული ყველაზე ეფექტური დახმარება მეწველი ძროხაა. თუმცა ზოგჯერ ჩვილის ოჯახისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაც შეუძენიათ. ყოველივე ამას ისიც ემატება, რომ დაბრუნებული დედა-შვილსთვის პროექტის მონაწილეები ადგილზე ნამდვილ ზეიმს მართავენ. ამას გარკვეული ფსიქოლოგიური დატვირთვაც აქვს: როცა სოფელი ხედავს, რომ გაჭირვებული კაცი ბედის ანაბარად არ რჩება, ძალაუნებურად, თავადაც უჩნდება მისი დახმარების სურვილი.

ისინი კი, ვინც ქალაქში რჩება, დასაქმების ცენტრის მეშვეობით, სხვადასხვა ხელობას ეუფლებიან ან გრანტებით მცირე ბიზნესს იწყებენ. შრომის ბაზრის შესწავლამ აჩვენა, რომ ყველაზე მეტი მოთხოვნა სტილისტებსა, მანიკურისა და მასაჟის სპეციალისტებზეა. ცენტრის თანამშრომელი მაცაცო სხირტლაძე აღნიშნავს, რომ დედები ხელობას მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებთან ეუფლებიან და არა მარტო იმიტომ, რომ კარგად შეისწავლონ მომავალი სპეციალობა, არამედ, რათა ნორმალურ საზოგადოებასთან ურთიერთობამ მათ საკუთარი თავის რწმენაც შეჰმატოს.

32 წლის მილენამაც დასაქმების ცენტრის მეშვეობით შეისწავლა თექაზე მუშაობა და დასაწყისისთვის მასალითაც დასაჩუქრდა. ახლა იგი თავის შრომით ახერხებს ბინის დაქირავებას და მიუხედავად ამჟამინდელი რთული და ღარიბული ყოფისა, ოცნებობს იმ დროზე, როცა მისი დავითი ცნობილი კალათბურთელი გახდება (იმედოვნებს, რომ ბიჭი სიმაღლეში მამას დაიმსგავსება, მამას, რომელმაც დღესაც არ იცის შვილის არსებობის შესახებ). ძნელია, მუყაით და იმედიან ადამიანს, წარმატება არ უსურვო.

მცირე გრანტის მეშვეობით დაიწყო კოსმეტიკით ვაჭრობა 39 წლის იზომაც. მანამდე კი, ორი ზრდასრული ვაჟკაცის დედას, შვილების ხათრითა თუ შიშით ვერ გამოჰყავდა ჩვილ ბავშვთა სახლიდან თავისი ცერებრალური დამბლით დაავადებული გიორგი. ბიჭებს დედა უყვარდათ, მაგრამ აბრკოლებდათ საზოგადოების რეაქცია, ცალკე იმის გამო, რომ დედამ ქორწინების გარეშე გააჩინა შვილი და იმიტომაც, რომ მათი ნახევრძმა უნარშეზღუდული იყო. სოციალურ მუშაკ ნანა მახათაძეს ნახევარი წელი დასჭირდა, რათა ბიჭები ძმის მისაღებად მოემზადებინა.

დღემდე ამ პროექტის მეშვეობით ჩვილ ბავშვთა სახლიდან 19 ჩვილი დაუბრუნდა საკუთარ ოჯახს, ხოლო 41 ჩვილი "მინდობითი მშობლის" ოჯახში იზრდება. მინდობით მშობელთან ის ბავშვები იზრდებიან, ვისი გაშვილებაც ამა თუ იმ მიზეზის გამო ვერ ხერხდება.

მონაცემებს მინდობით მშობელთა შესახებ განათლების სამინისტრო ფლობს. ამ ეტაპზე პროექტის მეშვეობით 76 ასეთ მშობელს აქვს გავლილი სპეციალური მომზადების კურსი. მინდობითი მშობელი ბავშვის აღზრდისათვის თვეში 100 ლარს იღებს სახელმწიფოსგან, უნარშეზღუდულის შემთხვევაში - ორჯერ მეტს. კანონი არ ზღუდავს მინდობითი მშობლის ასაკს, მაგრამ პრაქტიკაში მაინც ახალგაზრდებს ენიჭებათ მცირეოდენი უპირატესობა. როგორც აღნიშნავს სოციალური მუშაკი ქეთი დემეტრაშვილი, თავდაპირველად ბავშვის ბიოლოგიური მშობელი ასეთ ოჯახს უნდობლად ეკიდება, ეშინია, შვილი არ დაკარგოს. შიშის გაფანტვაში მას იმ ოჯახში ხშირი სტუმრობა ეხმარება და ეს ურთიერთობები ზოგჯერ ნათელ-მირონობითაც კი მთავრდება.

პროექტი "ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენცია და დეინსტიტუციონალიზაცია" გრძელდება, სახელმწიფო თანდათანობით ენაცვლება უცხოელ დონორებს და უფრო და უფრო მეტ საკუთარ ფულს დებს მის განსახორციელებლად.

**P.S. ეთიკური მოსაზრების გამო, რამდენიმე პიროვნების სახელი შეცვლილია.**




## საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

“საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი წესის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 სექტემბრის №811 ბრძანებულებით, 2005 წლის 4 ნოემბრიდან ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - “საქართველოს საინვესტიციო ცენტრი”.

გთხოვთ, დაინტერესებულ ორგანიზაციებს და პირებს მოგვმართოთ სალიკვიდაციო კომისიას მისამართზე - ქ. თბილისი ჩიტაძის №4.

**ტელ: 28-48-79**

*სალიკვიდაციო კომისია*




Fare quoted is for a return economy flight departing from Tbilisi and includes all taxes, fees and charges correct as at 26/10/05. Flights must be booked on or before 31/03/06 and outbound travel completed on or before 31/03/06. Fares are subject to availability and are non-refundable. For full terms and conditions, visit ba.com. Services operated by BMED.

# გუბერნსკის ციხე იყიდება

*გუბერნსკის ანუ ორთაჭალის ციხე, უფრო სწორედ, ის ტერიტორია, სადაც სასჯელაღსრულების სისტემის №1 და №5 საპყრობილეებია განთავსებული, იყიდება.*

თამარ კაციტაძე

მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს, მაშინ, როდესაც აღნიშნულ ტერიტორიაზე, რუსეთის იმპერიის წარმომადგენლები მთელი გუბერნიისთვის განკუთვნილ მარცვლეულის საწყობს აშენებდნენ, ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ მოგვიანებით, თუნდაც 21-ე საუკუნეში იგი ციხის ფუნქციას შეასრულებდა. ძნელად დაიჯერებდა იმასაც, რომ რადიკალურად განსხვავებული დანიშნულებისათვის განკუთვნილ შენობაში, სადაც საუკუნეების მანძილზე რემონტიც კი არ ჩატარებულა, ათასობით პატიმარი წლების განმავლობაში იცხოვრებდა. დანგრევის პირას მისული ორთაჭალის ციხე, უჰაერო, ნესტიანი საკნების გამო, სადაც სტანდარტზე სამჯერ მეტი ადამიანია გამომწყვდეული, არაერთხელ გამხდარა ადამიანის უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების თუ თავად ქართველი არასამთავრობოების კრიტიკის ობიექტი. ორთაჭალის ციხეში რომ არაადამიანური პირობებია, ხელისუფლებამაც აღიარა, მაგრამ მთავარი არგუმენტის - უსახსრობის გამო, გამოსავალი დღემდე ვერ მოიძებნა. მეტიც, დღესაც არ დასრულებულა წლების წინ დაწყებული რუსთავის გახმაურებული საპყრობილის მშენებლობა, რომ ორთაჭალის ციხე ცოტათი მაინც განტვირთულიყო.

გუშინდელ მთავრობის სხდომაზე კი პრემიერ-მინისტრმა ახალი საპყრობილის მშენებლობაზე ისაუბრა და მინიშნება ორთაჭალის ციხის გაყიდვაზეც გააკეთა.

**"მას შემდეგ, რაც ორთაჭალის საპყრობილედან პატიმრების გადანაწილება მოხდება, შესაძლოა, აღნიშნული ტერიტორიის გაყიდვაზეც ვიფიქროთ,"** - განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა.

სხვათა შორის, ორთაჭალის ციხის გაყიდვის პრესპექტივაზე საუბარი გუშინ არ დაწყებულა. პირველად ეს თემა ჯერ კიდევ გიორგი პაპუაშვილის იუსტიციის მინისტრობის დროს გაჟღერდა. "24 საათისთვის" მიცემულ ინტერვიუში პაპუაშვილი აღნიშნავდა: **"საუბარია ორთაჭალის ციხის ან გაიყიდვაზე და თბილისის მახლობლად ახალი კომპლექსის მშენებლობაზე, ან მის სერიოზულ რეაბილიტაციაზე, რადგან ციხე, ფაქტობრივად, ინგრევა და შენობის არსებულ პირობებ-**



**ში დიდხანს გაჩერება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება."**

მოგვიანებით, ასევე "24 საათთან" საუბარში, ორთაჭალის გაყიდვის პერსპექტივაზე ისაუბრა ამჟამინდელმა იუსტიციის მინისტრმა კოტე კემულარიამაც: **"გვაქვს პროექტი, რომლის მიხედვითაც, ორთაჭალის ციხე უნდა გაიყიდოს. მინდა მკითხველი დავარწმუნო, რომ 2006 წელი ის პერიოდია, როცა მივიღებთ სტანდარტული ტიპის საპყრობილეებს. ამ ერთ წელიწადში მაქსიმალურად ყველაფერი გაკეთდება და ეს არ იქნება მხოლოდ ლაპარაკი."**

პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ორთაჭალის ციხის გაყიდვის იდეა მას შემდეგ გააჟღერა, რაც თბილისში ახალი საპყრობილის აშენების რეალური პერსპექტივა გამოჩნდა. როგორც გაირკვა, იუსტიციის სამინისტროს მომავალი წლის ბიუჯეტში დამატებით 9 მილიონი ლარი გამოეყო. აღნიშნული თანხით გლდანის მასივის მიმდებარე ტერიტორიაზე, 3 ათას პატიმარზე გათვლილი, ევროსტანდარტების შესაბამისი საპყრობილე აშენდება. პრემიერმინისტრის გაანგარიშებით, ახალი საპყრობილის მშენებლობა მომავალ წელსვე დასრულდება და ორთაჭალის ციხის ტერიტორიის გაყიდვაზე ზრუნვაც მაშინ დაიწყება.

*24 საათი*

## საინფორმაციო პლაკატები ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ

სახალხო დამცველის აპარატი ადამიანის უფლებების შესახებ საინფორმაციო პლაკატებს ავრცელებს. როგორც სახალხო დამცველის აპარატში აცხადებენ, აპარატის თანამშრომლებმა პირველი საინფორმაციო პლაკატები ორი დღის წინ, თბილისის წინასწარი დაკავების იზოლატორის საკნებში გააკრეს.

პლაკატებზე დეტალურად არის განმარტებული დაკავებული პირების საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები. ანუ, ნებისმიერ დაკავებულს პოლიციამ დაკავებისთანავე უნდა აცნობოს, თუ რომელი დანაშაულის ჩადენაშია იგი ეჭვმიტანილი და უნდა გადასცეს მისთვის გასაგებ ენაზე შედგენილი დაკავების ოქმი.

ასევე, ეჭვმიტანილს შეუძლია მისცეს ან არ მისცეს ჩვენება და გამოიყენოს დუმილის უფლება, მოითხოვოს დამცველი. მას შეუძლია შეხვდეს ადვოკატს პირისპირ. დაკავებულს შეუძლია მოიწვიოს ნებისმიერი ორი დამსწრე ჩხრეკის, ამოღების, შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს.

დაკავებულს შეუძლია მოითხოვოს უფასო თარჯიმანი, თუ არ ესმის სისხლის სამართლის პროცესის ენა; მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება და წერილობითი დასკვნა, სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება და ეს მოთხოვნა დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს;

კანონის შესაბამისად, ეჭვმიტანილს შეუძლია წარმოადგინოს უდანაშაულობის მტკიცებულებანი; მონაწილეობა მიიღოს დამცველის მიერ ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში, ხოლო თუ დაკავებულს ეჭვი შეეპარება გამომძიებლის მოქმედებაში და გადაწყვეტილებებში, შეუძლია გაასაჩივროს ისინი პროკურორთან ან სასამართლოში.

თუ დაკავებული სრულწლოვანია, მას უფლება აქვს არაუგვიანეს 5 საათისა შეატყობინოს ნათესავებს და ახლობლებს თავისი ადგილსამყოფელის შესახებ. ხოლო, თუ დაკავებული არასრულწლოვანია, მაშინ ახლობლებს თავისი ადგილსამყოფელის შესახებ არაუგვიანეს 3 საათის განმავლობაში უნდა შეატყობინოს.

ადამიანს უფლება აქვს მიიღოს ანაზღაურება უკანონოდ დაპატიმრების შემთხვევაში მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

როგორც სახალხო დამცველის აპარატში აცხადებენ, აღნიშნული პლაკატები უახლოეს დღეებში ყველა წინასწარი დაკავების საკანში გაიკვრება და ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში, სახალხო დამცველი სათანადო რეაგირებას მოახდენს.

*24 საათი*

## აფხაზებმა თხუთმეტი ქართველი წვევამდელი გაიტაცეს

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ქართული მხარის მთავარი სამხედრო დამკვირვებელი არც უარყოფს და არც ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას გალში თხუთმეტი ქართველი წვევამდელის გატაცების შესახებ. "ამის შესახებ ინფორმაცია არ მიგვიღია და დაზუსტებით ვერაფერს ვიტყვი", - ასეთ კომენტარებს აკეთებდა ვალერი ჯაფარიძე.

გავრცელებული ინფორმაციით, გუშინწინ, გვიან ღამით, გალის რაიონის სოფელ ოქუმში თხუთმეტი ქართველი წვევამდელი აფხაზურმა მილიციამ გაიტაცა. ქართველი ახალგაზრდები, სავარაუდოდ, სოხუმში გადაიყვანეს. გუშინ მთელი დღის განმავლობაში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ მშობლებს შვილებთან გასაუბრების საშუალება არ ეძლეოდათ და რამდენიმე მათგანი სასტიკად ნაცემი იყო.

*მედიანიუსი*

## გაზის გაჟონვას "თბილაირსერვისის" ხელმძღვანელის თავისუფლება ემსხვერპლა

გლდანში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად ორი ადამიანის სიცოცხლის ხელყოფისთვის ბრალდებულ გურამ მახვილაძის ადვოკატები სააპელაციო სასამართლოში სარჩელს, სავარაუდოდ, დღეს შეიტანენ. მახვილაძის დაცვის მხარე თბილისის საქალაქო სასამართლოს იმ გადაწყვეტილებას ასაჩივრებს, რომლითაც დაკავებულს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეეფარდა.

შპს "თბილაირსერვისის" ხელმძღვანელის გურამ მახვილაძის ადვოკატები საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას უსამართლოს უწოდებენ.

პროკურატურამ შპს "თბილაირსერვისის" ხელმძღვანელისთვის წინასწარი პატიმრობა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე მოითხოვა.

რამდენიმე დღის წინ გლდანის მე-7 მიკრორაიონში გაზის დაგროვების გამო მომხდარ აფეთქებას მსხვერპლი მოჰყვა, დაიღუპა 14 წლის ნინო გელაშვილი და მისი 70 წლის ბებია ვენერა შაორშაძე. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე 240-ე პრიმ მუხლით აღიძრა, რაც ელექტრო და გაზგამათბობელ ობიექტებზე წესების დარღვევას გულისხმობს, რასაც ადამიანთა სიცოცხლის ხელყოფა მოჰყვა.

აღნიშნულ ტერიტორიაზე გაზიფიკაციის სამუშაოებს შპს "თბილაირსერვისი" აწარმოებდა.

*ინტერპრესნიუსი*


## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ბორჯომის რიაონის გამგეობა, მისამართი ქ. ბორჯომი რუსთაველის მოედანი N1 აცხადებს ორეტაპიან ღია ტენდერს "ქ. ბორჯომში არსებული რკინიგზის სადგურ "ბორჯომი"-ს შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის აგრარული-სავაჭრო ცენტრად გადაკეთების არქიტექტურულ-საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის " შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესასრულებელი სამუშაოები:

არსებული რკინიგზის სადგურ "ბორჯომი"-ს შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის აგრარული-სავაჭრო ცენტრად გადაკეთების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ღირებულების გარეშე) ქართულ ენაზე 2 ეგზემპლიარად ( 1 ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი, 1 ასლი) უნდა წარმოადგინონ **2005 წლის 31 დეკემბრიდან 2006 5 იანვრის 10-დან 17 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბორჯომი რუსთაველის მოედანი N1, მე-5 სართული ოთახი N2, ბორჯომის რაიონის გამგეობა**.

4 საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდანადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

ბ) ცნობა საქარტველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგასტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) არ არის დადებული ყადაღა.

გ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკური ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულებისთვის.

**ფიზიკური პირისათვის**:

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითყნარიანია.

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკური ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულებისთვის.

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) იურიდიული/ფიზიკური პირის რეკვიზიტები(მისამართი,ტელ/ფაქსი,საბანკო რეკვიზიტები)

ბ) ლიცენზია საპროექტო საქმიანობის განხორციელების შესახებ (ნოტარიულად დამოწმებული ასლი).

გ) სახელმწიფო ორგანოს დადგენილებას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ( ნოტარიულად დამოწმებული ასლი).

დ) ინფორმაცია 2000-2004 წლებში განმავლობაში გამხიორციელებული ან მოცემულ პერიოდში გაქეული ანალოგიური მომსახურების შესახებ;

ვ) ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაცია, გვარი, სახელი და მამის სახელი, მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი), ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება (წელი).

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი მე - 3 პუნქტიში დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე- 4 პუნქტში ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას მოთხოვნილი ფორმით ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირების მიერ, პირველადი სატენდერო წინადადების შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნას შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხივნები, რის შესაბამისადაც წარმოდგენილი უნდა იქნას ზოგადი მონაცემები ჩასატარებელი საპროქტი სამუშაოების ღირებულების გარეშე.

7. პირველადი და საბოლოო სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას წარედგინება დახურულ პაკეტში.

პირველადი სატენდერო წინადადების შეფასებისას მხედველობასი მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხივნებთან და არ გამოიყენება მათი ქულებით შეფასების წესი.

პრეტედენტის კვალიფიკაცია მიენიჭებათ ტენდერში მონაწილეობის მსურველ იმ პირებს, რომელთა მიერ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებზე არსებობს აღნიშნული მომსახურების სფეროში პოლიტიკის გამტარებელი ორგანოს საექსპერტო კომისიის დადებითი დასკვნა.

სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფეკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული სატენდერო წინადადებებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისთვის დადგენილ პირობებს.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მეორე ეტაპზე მონაწილ პრეტენდენტებს 500 ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ მისამართზე **: ქ. ბორჯომი რუსთაველის მოედანი N 1 მე-5 სართული მე-2 ოთახი.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

სატენდერო დოკუმენტაციის გადაცემის კონკრეტული ვადა პრეტენდენტს საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგებთან ერთად ეცნობებათ შერჩევიდან არა უმეთეს 5 დღის ვადაში.

სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს პრეტენდენტი იურიდიული და ფიზიკური პირის ხელმძღვანელის მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით და წარედგინება სატენდერო კომისიას დახურული კონვერტით.

სატენდერო მოსაკრებელი ჩაირიცხება: **საქ.ეროვნულ ბანკში კოდი 220101107 ანგ.N 200122900 კოდი 300624040 ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.**

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე **: ქ. ბორჯომი რუსთაველის მოედანი N 1 მე-5 სართული , ბორჯომის რაიონის გამგეობა, ტელეფონი: (8-267)-2-39-05 ან 2-30-51 .**

*სატენდერო კომისია*



ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION
*საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრი*
*INTERNATIONAL STUDENT ADVISING CENTER*

**ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამა აცხადებს**

## კონკურსს

**საზოგადოებრივი აზრის კვლევა -**
**მოსახლეობის მოლოდინები საზოგადოებრივი მაუწყებლობის პროგრამირებასთან დაკავშირებით**

ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამა აცხადებს კონკურსს სახელწოდებით " საზოგადოებრივი აზრის კვლევა - მოსახლეობის მოლოდინები საზოგადოებრივი მაუწყებლობის პროგრამირებასთან დაკავშირებით". კონკურსი ცხადდება საზოგადოებრივ კვლევებზე ორიენტირებული ორგანიზაციებისთვის. პროექტი შესრულებული უნდა იყოს ფონდის საგანაცხადო ფორმის მიხედვით (http://osgf.ge/?show=manual).

გამარჯვებული ორგანიზაცია ვალდებულია:

1. განახორციელოს რაოდენობრივი ტიპის საზოგადოებრივი აზრის კვლევა საქართველოს მასშტაბით. გამოკითხულ რესპოდენტთა რაოდენობა უნდა იძლეოდეს ცალკეული რეგიონების რეპრეზენტატიული შედარების საშუალებას. კვლევა უნდა განხორციელდეს შემდეგი თემატიკის გათვალისწინებით: სამაუწყებლო ბაზრის დღევანდელი მდგომარეობა, ელექტრონული ბაზრის მომხმარებელთა კვლევა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზები, ადგილობრივი პრობლემატიკის პრიორიტეტულობა დღევანდელ მაუწყებლობაში.

2. კვლევის დასრულების შემდეგ მოამზადოს შესაბამისი ანგარიში და საპრეზენტაციო ფაილი;

3. სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამასთან ერთად ორგანიზება გაუკეთოს კვლევისა და ანალიზის შედეგების პრეზენტაციას. პრეზენტაციაზე მოწვეულ უნდა იქნეს ყველა დაინტერესებული მხარე: მაუწყებლობის წარმომდაგენლები და ჟურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები.

**ფონდიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 25 000 აშშ დოლარს.**

**კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადები მიიღება 2005 წლის 19 დეკემბრიდან 2006 წლის 20 იანვრის 17:00 საათამდე. მისამართი ჭოველიძის ქ. 10. ტელ: 25-04-63, 25-05-92 ფაქსი: 29-10-52, ელ ფოსტა - irakli@osgf.ge. საკონტაქტო პირი: ირაკლი ცერცვაძე, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამის კოორდინატორი.**

**კონკურსის შესახებ განცხადების ვრცელი ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ფონდის ვებ გვერდზე (http://osgf.ge/?show=competitions) ან მოიპოვოთ ფონდის მისაღებში.** კონსულტაციები კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის ჩატარდება ყოველ სამშაბათს 11:00 საათზე ფონდის ოფისში.

** საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" ოფისი არ იმუშავებს 2005 წლის 29 დეკემბრიდან 2006 წლის 6 იანვრის ჩათვლით.*


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი**..........................................
**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..........................................
**საკონტაქტო ტელეფონი**..........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები, ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]
6. [illegible]
7. [illegible]
8. [illegible]
9. [illegible]
10. [illegible]
11. [illegible]

"24 საათის" [illegible] იურიდიული ოფისი "გაპი".

ჩოგბურთი

# სელეში ფიქრობს და ვარჯიშობს

*90-იანი წლების დასაწყისში ქალთა საჩოგბურთო კორტების ბატონ-პატრონი იყო. მსოფლიოს პირველი ჩოგნის სტატუსს 178 კვირის განმავლობაში ატარებდა და ცხრაჯერ დიდი სლემის გამარჯვებულიც გახდა - ოთხი ავსტრალიის ღია ჩემპიონატი, სამი საფრანგეთის და ორიც აშშ-ის ღია ჩემპიონატები. 2003 წლის "როლან გაროსის" გათამაშების შემდეგ ფეხის ტრავმა მიიღო და მას შემდეგ კორტზე აღარ გამოჩენილა. ერთი სიტყვით, გესაუბრებით ადამიანზე, ვისაც დიდი წარდგენა არ სჭირდება. ის ჩოგბურთს უბრუნდება.*

ბიგა ბურასაშვილი

მარტინა ჰინგისი ერთადერთი არ არის, ვისაც ჩოგნის ხელში აღების სურვილი გაუჩნდა. კორტებს უბრუნდება მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი 32 წლის მონიკა სელეშიც. რაკი დაბრუნებაზე ვსაუბრობთ, აქვე გავიხსენოთ, რომ პროფესიულ ჩოგბურთს უბრუნდება ჯონ მაკინროიც.

"ახლა გადაწყვეტილების მიღებაზე ვფიქრობ. ვფიქრობ იმაზე, თუ რომელ მხარეს წავიდე. ეს ადვილი არ იქნება, რადგან როდესაც დაბრუნება გინდა, მაღალ დონეზე უნდა დაბრუნდე".

იუგოსლავიაში დაბადებულ-გაზრდილი და დაფრთიანებული სელეში, რომელიც კარიერის ზენიტში ყოფნისას ამერიკაში გადაბარგდა, ამჟამად ფლორიდაში, საკუთარი სახლშია და კვირაში ხუთჯერ ვარჯიშობს.

სელეში 25 წლის ჰინგისის გადაწყვეტილებასაც ეხმაურება და მასზე ერთგვარ დაკვირვებასაც აპირებს. მაინტერესებს, ტრავმების გამო კორტთან სამწლიანი განშორების შემდეგ ჩოგბურთს როგორ დაუბრუნდებაო.

"მარტინას დაბრუნება და მისი თამაშის ხილვა კარგი იქნება...

ის ძალზე ახალგაზრდაა და ყველაფერი წინა აქვს. ადრეულ ასაკში კი ბრწყინვალე იყო".

სელეში თანამედროვე ჩოგბურთის ავ-კარგიანობასაც ეხება და აცხადებს: ქალთა ჩოგბურთის დონემ აიწიაო.

"ბურთს სულ უფრო ძლიერად ურტყამენ, ადრინდელისგან განსხვავებით, გოგოები უფრო სრულყოფილად ათამაშდნენ. ფიზიკურადაც უფრო მომძლავრდნენ".

სელეში ერთ-ერთია იმათ შორის, ვინც ქალთა ჩოგბურთში ორივე ხელით თამაშის დანერგვას შეუწყო ხელი.

"მგონია, რომ პირველთაგანი ვიყავი, რომელმაც ასეთი რამ წამოიწყო...

ერთ-ერთი პირველი ვიყავი, რომელმაც ძალისმიერი თამაში დანერგა, დანარჩენებმა კი ეს ყველაფერი ახალ დონეზე აიყვანეს. მართლაც რომ კარგია ქალთა აგრესიული თამაშის ყურება".

კორტზე დაბრუნების შემდეგ სელეშს განუზრახავს დააკვირდეს არა მარტო საკუთარ ოსტატობას, არამედ იმას, თუ რა დონეზე შეუძლია თამაში. სხვა გზა არ არის. ახალ თაობას უნდა აუწყო ფეხი. ესენი კი ჯადოსნურ ჩოგბურთს თამაშობენ.

საშუალო დონეზე ჩოგბურთის თამაში რომ მინდოდეს, არც დავბრუნდებოდი.



*შესაძლოა, მონიკა სელეში ჩვეულ ფორმაში ვიხილოთ.*

სელეშის სიტყვებიდან აშკარად ჩანს, რომ სერიოზული მიზნები აქვს.

ახლა მხოლოდ ის არის საინტერესო, რომელ ტურნირებზე თამაშს მიანიჭებს უპირატესობას. უფრო სწორად, დიდი სლემის ტურნირებიდან რომელს აირჩევს. წესით და რიგით, უიმბლდონისთვის უნდა იბრძოლოს, იმ ტიტულისთვის, რომელიც არ მოუპოვებია. მის სამომავლო გეგმებში კი რატომღაც უიმბლდონის კორტი არ ფიგურირებს.

"მიყვარს ავსტრალიისა და აშშ-ის ღია ჩემპიონატები. ეს ორი ჩემი ფავორიტია. აქედან კი ერთ-ერთს ავირჩევ".

ინფოთეკა

### ტოლდო "მილანისთვის" "ინტერს" ტოვებს

"მილანის" წარმომადგენლები ესაუბრნენ "ინტერის" მეკარის ფრანჩესკო ტოლდოს აგენტს, ამ კლუბში ფეხბურთელის შესაძლო ტრანსფერის თაობაზე. ტოლდოს კონტრაქტი ზაფხულში მთავრდება და ფეხბურთელმა შეიძლება დატოვოს მილანური კლუბი, რადგან ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება. "მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი მზად არის ტოლდო შეიძინოს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ კლუბის ბრაზილიელი მეკარე დიდას თამაშის ხარისხი არ გაუმჯობესდება.

### "ინტერი" და "რომა" კასანოს ტრანსფერზე საუბრობენ

მილანის "ინტერის" ხელმძღვანელობამ მიაღწია წინასწარ შეთანხმებას "რომასთან" მომავალ თვეში ანტონიო კასანოს ტრანსფერის შესახებ. რომაელებმა მიიღეს წინადადება, რომლის მიხედვით ფეხბურთელში 2-2,7 მილიონ გირვანქა სტერლინგს აიღებენ. ფეხბურთელის აგენტი ბეპე ბოზო მილანში იმყოფებოდა და "ინტერის" სპორტულ დირექტორ მარკო ბრანკასთან კასანოს პირადი კონტრაქტის შესახებ მოლაპარაკება გამართა. ანტონიოს სურს, რაც შეიძლება სწრაფად გადაბარგდეს მილანში, რადგან მას რთული ურთიერთობა აქვს ფრანჩესკო ტოტისთან. შეგახსენებთ, რომ ნოემბრის თვეში, ვარჯიშზე ურთიერთშელაპარაკების შემდეგ თანაგუნდელები ერთმანეთს დღემდე არ ელაპარაკებიან.

### როსიცკი ახლოსაა "ატლეტიკოში" გადასვლასთან

დორტმუნდის "ბორუსიას" ჩეხმა ნახევარმცველმა ტომაშ როსიცკიმ დაადასტურა მადრიდის "ატლეტიკოსთან" მოლაპარაკების ფაქტი. "მე ვესაუბრე ესპანური კლუბის წარმომადგენლებს და გადაწყვეტილება შეიძლება ამ ზამთარში იქნეს მიღებული" - განაცხადა როსიცკიმ. სატრანსფერო თანხამ შეიძლება 7 მილიონი გირვანქა სტერლინგი შეადგინოს.

# "საქართველოს შრომის კოდექსის" პროექტი: პრობლემების მოგვარება თუ საკითხისადმი არასერიოზული მიდგომა?!

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
CIVIL SOCIETY INSTITUTE

ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

"სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი" აგრძელებს საკანონმდებლო ინიციატივების ექსპერტიზაზე მუშაობას. დღეს გთავაზობთ დამოუკიდებელი ექსპერტის მოსაზრებებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული "შრომის კანონთა კოდექსის" პროექტის შესახებ. სტატიის ავტორია დიანა ბერეკაშვილი.

დაინტერესების შემთხვევაში შეგიძლიათ მოგვმართოთ: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი; ტელ: 94 16 05; 33 04 17; ელ-ფოსტა: law@civilin.org, ან ეწვიოთ ჩვენს ვებ-გვერდს: www.civilin.org.ge

დიანა ბერეკაშვილი

საქართველოში ბოლო ათწლეულების განმავლობაში არაერთი საკანონმდებლო აქტი იქნა მიღებული, ამდენად, საქართველოს კანონმდებლობამ გარკვეული პროგრესი განიცადა, თუმცა შრომითი ურთიერთობების სფეროში ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდის კოდექსი მოქმედებს, რომლის შეცვლა გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს.

დღეისათვის საქართველოში მოქმედებს 1973 წლის 1 ოქტომბრის შრომის კანონთა კოდექსი, რომელმაც დღემდე უმარავი ცვლილება განიცადა, მიუხედავად ამისა, ის თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში მაინც მოუქნელია და საკანონმდებლო ვაკუუმს ქმნის, რის გამოც მთელი რიგი საკითხებისა მოუწესრიგებელი რჩება, შესაბამისად ახალი შრომის კოდექსის მიღება არსებული საკანონმდებლო ვაკუუმის შევსებას უნდა ემსახურებოდეს, მაგრამ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი კანონპოროექტი, ვფიქრობ, საკითხისადმი არასერიოზული მიდგომის გამოვლინებაა და არათუ დაარეგულირებს არსებულ პრობლემებს შრომითი ურთიერთობების სფეროში, არამედ კიდევ უფრო მოუწესრიგებელს გახდის სამართლებრივი ურთიერთობის ამ სახეს.

შევეცდები უფრო კონკრეტულად შევეხო შრომის კანონთა კოდექსის პროექტის რამდენიმე მუხლს.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნო, რომ კანონპროექტში არ არის ნათლად ასახული შრომითი ურთიერთობების პრინციპები და განსაკუთრებით ბუნდოვანია შრომითი ურთიერთობის სუბიექტთა წრე, აგრეთვე გაურკვეველია შრომითი ურთიერთობების წარმოშობა. პროექტის მეორე მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრულია, რომ ***"შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით";*** ამ ნორმის მიხედვით, შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა არა მხარეთა შორის დადებული შრომის ხელშეკრულების საფუძველზე, არამედ შეთანხმებით, რომელსაც კანონპროექტის ავტორი, როგორც ჩანს, მიიჩნევს მხარეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის საფუძვლად. ნორმის მსგავსი ფორმით ფორმულირება ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან ნორმის დეფინიციიდან ვერ დგინდება ამ შეთანხმების სამართლებრივი ბუნება და ის ფაქტი, სად და რა ფორმით აისახა მხარეთა შეთანხმების შედეგები. დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის შრომითი უფლება-მოვალეობანი შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ მათ შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ცალკეულ შემთხვევაში მისი მომზადების სტადიაზე. შესაბამისად, შრომის კოდექსში თანმიმდევრულად უნდა აისახოს წინასახელშეკრულებო ურთიერთობების დროს და შემდგომ შრომითი ხელშეკრულების დადების საფუძველზე წრამოშობილი მხარეთა უფლება-მოვალეობები. შესაბამისად, შემოთავაზებული კოდექსის ზოგად დებულებებში არ არის სრულყოფილად ასახული შრომითი ურთიერთობების არსი. ვფიქრობ, რომ შრომითი ურთიერთობების მომწესრიგებელ ნორმებში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული შრომითი ურთიერთობების წარმოშობის ფორმა, კერძოდ ის, რომ ურთიერთობა წარმოიშობა მხოლოდ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. პროექტი სუბიექტების განსაზღვრისას შემოიფარგლება მხოლოდ დამქირავებელზე და დაქირავებულზე მითითებით, რაც სუბიექტთა წრის ხელოვნურად შევიწროებას ნიშნავს, შრომითი ურთიერთობის ბუნებიდან გამომდინარე, სუბიექტებდ შეიძლება მივიჩნიოთ სხვა პირებიც, გარდა ამისა, პროექტში არაფერია ნათქვამი, თუ ვინ შეიძლება იყოს დამქირავებელი და დაქირავებული.

წარმოდგენილი კანონპროექტი ამომწურავად არ განმარტავს ხელშეკრულების დადებისა და მისი შინაარსის განსაზღვრის თავისუფლებას, აგრეთვე არ ზღუდავს ხელშეკრულების ფორმის თავისუფლებას. კანონპროექტში საუბარია, რომ შრომითი ხელშეკრულება იდება ზეპირი ან წერილობითი ფორმით, მაგრამ სახელშეკრულებო ენაზე არაფერია ნათქვამი. აუცილებელია განიმარტოს თუ რა ენაზე იდება კონტრაქტი. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ხელშემკვრელი მხარე არ ფლობს სახელმწიფო ენას და ასეთ შემთხვევაში მისთვის შრომითი პირობების შეთავაზება უნდა მოხდეს მისთვის გასაგებ ენაზე. ასევე მიუღებელია ზეპირი ფომით შრომის ხელშეკრულების დადების დაშვება, ვინაიდან შრომითი ურთიერთობები და შრომითი პიროებები იმდენად სპეციფიურია, რომ მისი ბუნებიდან გამომდინარე ყოველთვის გაძნელდება გარკვეული გარემოებების მტკიცება მხარეების მიერ, ამიტომ სასურველია სახელშეკრულებო პირობები გაიწროს კონტრაქტში.

კანონპროექტის მეექვსე მუხლში საუბარია ხელშეკრულების ვადაზე და ფორმაზე. ამ მუხლში არსებული დეფინიციები ძალიან ზოგადი და სადავოა. კერძოდ, გაურკვეველია თუ რატომ ათანაბრებს კანონმდებელი მხარეთა წერილობით ნების გამოვლენას ***(კანდიდატის განცხადებას და დამქირავებლის მიერ გამოცემულ დოკუმენტს)*** ხელშეკრულების დადებასთან, ასეთ შემთხვევაში ბუნდოვანი რჩება ხელშეკრულების ფორმა, აგრეთვე გაურკვეველია თუ რა ინფორმაციას და პირობებს შეიძლება შეიცავდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილი წერილობითი დოკუმენტები. ამ შესაძლებლობის დაშვება და ხელშეკრულების დადების ფაქტთან გათანაბრება კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებულ საკითხებს.

კანონპროექტით გათვალისწინებულია შრომითი ურთიერთობების დამყარება გამოსაცდელი ვადით, რაც დასტურდება მხარეთა შორის ზეპირი შეთანხმების დადებით, ეს ფორმა გამოსაცდელი ვადის შემთხვევაში განსაკუთრებით მიუღებელია, რადგან აქ ინტერსის ობიექტი დაკისრებული ვალდებულებების მიმართ სუბიექტის შესაბამისობის დადგენაა, ზეპირი შეთანხმების პირობებში ყოველთვის გაძნელდება იმის დამტკიცება, თუ რა მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა მხარემ და რაში გამოავლინა არაკვალიფიციურობა. აგრეთვე არ არის რეგლამენტირებული, თუ როგორ უნდა შეწყდეს გამოსაცდელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულება და რა გარანტიებს სთავაზობს კოდექსი გამოსაცდელი ვადით დაქირავებულს მასთან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში.

წარმოდგენილი კანონპროექტი არ შეიცავს შესაბამის დებულებებს შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შესახებ. პროექტის მეშვიდე მუხლში საუბარია შრომის ხელშეკრულების პირობების შეცვლაზე, ზეპირი ხელშეკრულების არსებობისას პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება შრომის ხელშეკრულების არსებული პირობების შეცვლის დაფიქსირება.

წარმოდგენილი კანონპროექტის მერვე მუხლის თანახმად, ***საწარმოო პროცესის აუცილებლობიდან გამოდინარე, დამქირავებელმა შეიძლება შეზღუდოს დაქირავებულის უფლებები ეთიკური ნორმების სრული დაცვით,*** წარმოდგენილი ნორმა აბსურდულია და ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. სრულიად ბუნდოვანია, თუ რა დატვირთვას მისცემს დამქირავებელი საწარმოო აუცილებლობას, რა უფლებებს შეზღუდავს კონკრეტულად. ამ ნორმის ჩადება გამოიწვევს დამქირავებლის უფლებების უსაფუძვლოდ გაფართოებას, ეს კი თავის მხრივ, დაქირავებულის კონსტიტუციით და კანონმდებლობით გათვალისიწნებული უფლებების უხეშ დარღვევას გამოიწვევს. დამქირავებლის მხრიდან ეთიკური ნორმების დაცვა და წერილობით ახსნა-განმარტების მიცემა დაქირავებულის საკომპენსაციოდ ნაკლებად თუ გამოდგება.

პროექტის მეცხრე მუხლში ძალზედ ზოგადად და ზერელედ არის რეგლამენტირებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა შრომის უსაფრთხო პირობები.

წარმოდგენილი კანონპროექტის მეათე მუხლი ადგენს შრომითი ურთიერთობის შეჩერების სამართლებრივ საფუძვლებს, ამ საფუძვლების უმრავლესობა ძალზედ სადაოა. ლოკაუტის (ლოკაუტი - უფლებრივი დავის დროს საკითხების მოწესრიგების მიზნით დამქირავებლის უფლება არ დაუშვას დაქირავებული სამუშაო ადგილზე) უფლების გამოყენება დამქირავებლის მხრიდან დაქირავებულის უფლებების ზედმეტად შეზღუდვას ემსგავსება, ამ უფლების იმპერატიული წესით გამოყენება დაუშვებელია, მითუმეტეს, როცა დაქირავებულს არ ეძლევა შრომის ანაზღაურება; შესაძლოა უფლებრივი დავის დროს დაქირავებულის სამუშაო ადგილზე დატოვება საზიანო აღმოჩნდეს დამქირავებლის ინეტერესებისათვის, მაგრამ მსგავსი რამ ყველა შემთხვევაში არ ხდება, ამიტომ სასურველია ლოკაუტი არ იქნეს გამოყენებული იმპერატიულად.

შემოთავაზებული კანონპროექტის 11-ე მუხლით რეგულირდება შვებულების გაცემის წესი, ეს რეგულაციები, შეიძლება ითქვას, რომ ნაკლებად მოქნილი და არაადეკვატურია, ჯერ ერთი, საკმაოდ მცირეა შვებულების ხანგრძლივობა და აგრეთვე გაუმართლებელია 6 თვიანი, ანაზღაურების გარეშე შვებულების მიცემა დაქირავებულისათვის ყოველგვარი დასაბუთების და საფუძვლიანობის მიუხედავად.

წარმოდგენილი კანონპროექტის მე-12 მუხლის მიხედვით, შრომის ურთიერთობის შეჩერების საფუძველია ორსულობა, მშობიარობა და ბავშვის მოვლა. ამ მუხლში არ არის რეგლამენტირებული ანაზღაურების საკითხი მშობიარობამდე და მშობიარობის შემდეგ. ამავე კოდექსის 10-ე მუხლით შრომითი ურთიერთობების შეჩერების დროს დაქირავებულს არ მიეცემა ანაზღაურება. ამდენად, უნდა ვივარაუდოდთ, რომ ქალებს მშობიარობამდე და მშობიარობის შემდეგ უჩერდებათ შრომითი ურთიერთობები და არ მიეცემათ ანაზღაურება. ასევე, მე-12 მუხლი არ არეგულირებს შვებულებების მიცემის საკითხს ახალშობლის შვილად აყვანის გამო.

ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა შრომითი ურთიერთობების შეწყვეტა, არაადეკვატურად არის რეგლამენტირებული მე-13 მუხლში. არ არის მკაფიოდ განსაზღვრული დამქირავებლისა და დაქირავებულის უფლება-მოვალეობები ხელშეკრულების შეწყვეტისას. წარმოუდგენლად ბუნდოვანია შრომის უნებლიე გაგრძელების დეფინიცია და მნიშვნელობა.

მეოთხე თავი არეგულირებს სამუშაოს და შესვენების დროს, რომლის მიხედვით "სამუშაო დროის ხანგრძლივობა და შესვენების დრო განისაზღვრება ხელშეკრულებით". ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე ამ პირობების განსაზღვრა საკმაოდ რთულია და შეიძლება სადაო გახდეს. რეალურად სამუშაო და დასვენების დრო ხელშეკრულების არსებით პირობად განიხილება. ამ თავით ასევე არ არის გათვალისწინებული ზეგანაკვეთური სამუშაოს თავისებურებები, 16-ე მუხლი კი საკმაოდ უსამართლოდ ავალდებულებს დაქირავებულს საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად ანაზღაურების გარეშე იმუშაოს.

კოდექსის პროექტის 22-ე მუხლის მიხედვით, "ხელშეკრულებით შეიძლება დადგინდეს დაქირავებულის ვალდებულება შრომითი ხელშეკრუკლების შესრულებისას მიღებული ცოდნა და კვალიფიკაცია არ გამოიყენოს სხვა კონკურენტი დამქირავებლის სასარგებლოდ". სამართლებრივი თვალსაზრისით ეს ნორმა სადაო ხასიათისაა. ევროკონვენციით და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული შრომის და არჩევანის თავისუფლება გარკვეულწილად შეზღუდვის ქვეშ ჰყვება. დაქირავებული სამუშაო ადგილის შერჩევისას იზღუდება არა მარტო არჩევანში, არამედ შესაძლოა საერთოდ დაუსაქმებელი აღმოჩნდეს 5 წლის განმავლობაში. თუ დაქირავებული ფლობს კომერციულ საიდუმლობას, მას შეიძლება დაეკისროს ამ საიდუმლოს შენახვის ვალდებულება იმ პერიოდის განმავლობაში, სანამ არსებობს ინფორმაციის გასაიდუმლოების ინტერესი ძველი დამქირავებლის მხრიდან. მსგავსი შეზღუდვები გარკვეული დოზით გამოიყენება რიგი ქვეყნების მიერ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ საქართველოში არსებულ დასაქმების პრობლემატიკას, გავაცნობიერებთ, რომ ამ მკაცრი დათქმის ჩადება კანონში კიდევ უფრო დაამძიმებს სამუშაოს მაძიებლის მდგომარეობას.

კანონპოროექტით შემოთავაზებული დავების განხილვის მექანიზმი, როგორც ბევრი სხვა ნორმა, ამ კანონპროექტში ვერ უძლებს ვერანაირ კრიტიკას. ვერ იქნება გაზიარებული დავების განხილვის შემოთავაზებული პროცედურა, რადგან ეს პროცედურა არაა მკაფიოდ გაწერილი, ბუნდოვანია სასამართლოსადმი მიმართვის მექანიზმიც.

ახალ კანონპროექტზე მუშაობისას სასურველია მხედველობაში იქნეს მიღებული ქვეყანაში არსებული რეალობა და ევროპული გამოცდილება. ამდენად, ახალი კოდექსი მაქსიმალურად ადეკვატური და მოქნილი უნდა იყოს. წარმოდგენილი კანონპროექტი არ არის თანამედროვე ღირებულებების მატარებელი და მასში უგულებელყოფილია ან ხშირ შემთხვევაში ზედაპირულადაა მოწესრიგებული შრომის ხელშეკრულების ფორმა, დადების წესი, სტანდარტული პირობები, დამსაქმებელის და დასაქმებულის უფლება-მოვალეობები ხელშეკრულების დადების და შეწყვეტის დროს. ასევე, არ არის მოწესრიგებული შრომითი ურთიერთობის ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, როგორიცაა დასვენების დრო (ხანგრძლივობა, შესვენება, უქმე დღეები). გენდერული თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ შემოთავაზებული კანონპროექტი არაა დაბალანსებული, ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანია, თუ რა გარანტიებით სარგებლობენ ქალები.

შრომითი ურთიერთობების სრულად განხორციელებისათვის ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება შრომითი დავების წარმართვის საკითხს, თუ კოდექსში არ იარსებებს ეფექტური მექანიზმი დავების განხილვისათვის, შრომითი უფლებების სრულყოფილად რეალიზაცია ყოველთვის ეჭვქვეშ დადგება, ამასთანავე სასურველია კანონპროექტის შექმნისას ავტორებმა მეტი სერიოზულობა გამოიჩინონ სამართლებრივი მექანიზმების დეკლარირებისას.

*სტატიის ავტორის მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის პოზიციას.*

# ეკა და ქურდები

**ეკა კვესიტაძე**: დღევანდელი "დილოლების" თემაა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამზარეულო ბოლო პერიოდში, რეფორმის პენიტენციალურ სისტემაში და ერთ-ერთი პატიმრისა და ე.წ. კანონიერ ქურდის გასეირნება აბანოში. ამ საკითხზე ვესაუბრებით თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელს თეა თუთბერიძეს და გაზეთ "24საათის" ჟურნალისტს ინგა ალავიძეს. თეა, რამდენიმე დღის წინ განაცხადე, რომ შოთა კოპაძე აუცილებლად დატოვებდა თანამდებობას. რის საფუძველზე ამბობდი ამას? როგორ ფიქრობ, რატომ არ გამართლდა შენი პროგნოზი?

**თეა თუთბერიძე**: ჩვენ ზუსტი ინფორმაცია გვქონდა იმასთან დაკავშირებით, რომ ბატონი კოტე კემულარია ამ ნაბიჯის გადადგმას აპირებდა. უნდა დავწერილიყო რომ ფასიანი და როგორც ჩანს, ბატონმა კოტემ გადაწყვიტა დაფიქრებით დასკვნებიდან მოეწყოს ხელი. მინდა გითხრათ, რომ ჩვენ არა მხოლოდ შოთა კოპაძის გათავისუფლებასთან დაკავშირებით ვსაუბრობთ, არამედ იმაზეც, რომ თავად იუსტიციის მინისტრმა უნდა დაწეროს განცხადება გადადგომასთან დაკავშირებით. არ შეიძლება, როცა ადამიანი ვერ აკონტროლებს სიტუაციებს, ის ადამიანი იყოს მნიშვნელოვანი სამინისტროს მინისტრი. ჩვენ ვამბობთ, რომ კოტე კემულარია ვერ აკონტროლებს სამინისტროში შექმნილ სიტუაციას. სამწუხაროდ მას ჰგონია, რომ სამინისტრო რეფორმებს ატარებს, მაგრამ იმას რასაც იგი აკეთებს, ჩვენ ნამდვილად ვერ დავარქმევთ რეფორმას. რეფორმა არ არის ციხეების მშენებლობა. ამას გარდა კოტე კემულარია ვერ მოახერხებს რეფორმის გატარებას, რადგანაც ის არის საბჭოური მენტალიტეტის ადამიანი.

**ინგა ალავიძე**: როცა პატიმარი ციხიდან გამოდის და გოგირდის აბანოებში სეირნობს, აუცილებლად უნდა დადგეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის პასუხისმგებლობის საკითხი. და უნდა დადგეს იუსტიციის მინისტრის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხიც. ასე მოხდებოდა ნებისმიერ ქვეყანაში. მაგრამ სამწუხაროდ, ეს საქართველოში არ მომხდარა. მეტიც, კოტე კემულარიამ გააკეთა საკმაოდ ცინიკური განცხადება: "ჩვენ ვაკეთებთ რეფორმებს პენიტენციალურ სისტემაში, ვაშენებთ საპყრობილეებს, რაშიც გვეხმარებიან უცხოური ორგანიზაციები და მიმდინარეობს მოკვლევა." - თვითონ ფაქტს, რომ პატიმარი ტოვებს საპატიმრო ადგილს და მიდის სასეირნოდ, იგი არ შეხებია. აქვე მინდა ვთქვა აუცილებლად, რომ საქართველოში მხოლოდ ერთი ფაქტი მახსენდება, როცა ე.წ. კანონიერ ქურდს ძალოვანებიდან, კონკრეტულად შინაგან საქმეთა სამინისტრომ "შეურაცხყოფა" გაუბედა. ეს მართლაც მისასალმებელი იყო, მაგრამ ამის მიუხედავად, ახალი ფაქტიც სახეზეა. თუ აქამდე კულუარებში მიმდინარეობდა საუბარი იმაზე, თუ რა პრივილეგიები ჰქონდათ კანონიერ ქურდებს ციხეებში, ახლა ეს ამბავი გახმაურდა, მაგრამ პასუხისმგებლობა არავის ეკისრება.

**ეკა კვესიტაძე:** გამოდის, რომ ხელისუფლება არ არის ერთსულოვანი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაახმაურა ეს მოვლენა და ბუნებრივია, რომ იყო მოლოდინი ადეკვატური რეაქციისა ხელისუფლების მხრიდან, მაგრამ ეს არ მომხდარა. როგორ ფიქრობთ, რა ძალით ინარჩუნებს კოპაძე თანამდებობას?

**ინგა ალავიძე**: ამასთან დაკავშირებით მაქვს ვერსია: პირველი: კოპაძე ქურდული სამყაროს დახმარებით აკონტროლებს ციხეს. ეს აზრი თავად კოპაძემ და ხელისუფლებამაც არაერთხელ გამოთქვეს, მაგრამ ჩემთვის გაუგებარია, რას აკონტროლებს. ეს არის საბჭოური მეთოდები. ჩვენ არანაირ ევროსტანდარტებზე არ ვართ გადასულები. თავად ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ საპატიმროებში არანაირი რეფორმა არ გატარებულა. რადგანაც შოთა კოპაძე ალიანსშია ე.წ. შავ სამყაროსთან, ხელისუფლებას მისი შიში აქვს.

**ეკა კვესიტაძე**: კონკრეტულად რისი შიში აქვს ხელისუფლებას?

**თეა თუთბერიძე:** ხელისუფლებას რისი შიში აქვს არ ვიცი, მაგრამ კოტე კემულარიას თანამდებობის დაკარგვის შიში ნამდვილად აქვს. სხვა მას არანაირი შიში არ აქვს, სამწუხაროდ სხვა რამეზე იგი არ ფიქრობს. ის ნამდვილად არ არის დაკავებული რეფორმებით. მე ვთხოვდი პრეზიდენტს დაინტერესებულიყო მისი საქმიანობით იუსტიციის სამინისტროში. კემულარია არ არის მოწოდებული პენიტენციალური სისტემის რეფორმისთვის. მას თავი ჰგონია ჭიათურის პროკურორი და ცდილობს ბინძური მეთოდებით დაიძვრინოს იმ სიტუაციიდან თავი, რომელშიც ის აღმოჩნდა. რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ ათავისუფლებენ კოპაძეს და არის თუ არა იგი ქურდებთან ალიანსში: ყველაფერი ასეა, და ის, თუ როგორ ალიანსშია - გამოჩნდა. ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში მან აღნიშნა კიდეც, რომ ის მეგობრობდა კრიმინალებთან.

**ეკა კვესიტაძე**: პრეზიდენტის ინიციატივით შემოდის კანონპროექტები პარლამენტში, რომლის მიხედვითაც გამოდის, რომ ისინი, ვინც იბრალებენ ქურდობას, ის ადამიანები და მათი ოჯახის წევრები უნდა იყვნენ პასუხისგებაში მიცემულნი. ამავდროულად დღეს ჩვენ გვყავს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომელიც ამბობს, რომ ქურდული სამყაროს მეშვეობით აკონტროლებს ციხეს. ანუ ქვეყანაში ორი, ურთიერთგამომრიცხავი პროცესი მიმდინარეობს. თქვენი აზრით პრეზიდენტი რატომ ითმენს ასეთ ადამიანს?

**თეა თუთბერიძე**: ჩემი ინფორმაციით კოტე კემულარია პრეზიდენტს ეუბნება, რომ თუ გაუშვებენ შოთა კოპაძეს, მაშინ ციხეებში დესტაბილიზაცია და ბუნტი დაიწყება. ეს, სხვათა შორის, შორს არ არის რეალობისგან, თუ კი შოთა კოპაძეს მხოლოდ გაუშვებენ და მას არ მისცემენ პასუხისგებაში. შოთა კოპაძეს თითოეულ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ჰყავს ყველა ადამიანი, ვინც უშუალოდ მის მითითებებს ემორჩილება და რომელთათვისაც კანონი არაფერს არ ნიშნავს. მას შეუძლია ამის პროვოცირება გააკეთოს. დღეს ციხეები დენთით სავსე კასრივითაა, შესაძლებელია ის ნებისმიერ დროს აფეთქდეს.

**ეკა კვესიტაძე**: გიგა ბოკერია, როგორც წესი, ნებისმიერ პოლიტიკურ მოვლენასთან დაკავშირებით აკეთებს ხოლმე კომენტარს. ამჯერად ასე არ მომხდარა. საერთოდ მმართველი პარტიის აქტიური გუნდი დუმს. ფიქრობთ თუ არა, რომ ამ დროს ხელისუფლების პოლიტიკურ გუნდს მკვეთრი რეაქცია უნდა მოეხდინა?

**თეა თუთბერიძე**: ნამდვილად არ არის აუცილებელი ყველაფერზე და ყველას მაგივრად გიგა ბოკერია სცემდეს პასუხს, მაგრამ მმართველ გუნდს არა მხოლოდ კომენტარი უნდა გაეკეთებინა, არამედ დროული გადაწყვეტილება უნდა მიეღო.

**ინგა ალავიძე**: იმ წუთას, როცა ეს ფაქტი გახმაურდა ხელისუფლებას ცალსახა და რადიკალური გადაწყვეტილება უნდა მიეღო. ჩვენ დღეს აღარ უნდა ვსაუბრობდეთ, თუ რატომაა კოტე კემულარია იუსტიციის მინისტრი და რატომაა შოთა კოპაძე ისევ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე. მინდა წინა საკითხს დავუბრუნდე, იმას, თუ რისი შიში აქვს ხელისუფლებას, როცა კოპაძეს არ ათავისუფლებს. იმის გარდა რომ ციხის ბუნტის საშიშროება დგება (ციხის ბუნტი კი მარტივი ამბავი არ არის), როცა ვამბობთ, რომ ციხეს ქურდული სამყარო მართავს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს საქმე დიდ ფულთანაა დაკავშირებული. მე არ მინდა ვილაცას რაღაც დავაბრალო, მაგრამ უხეში გამოთვლით მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ყოველთვიურად სადღაც 300 ათას ლარამდე მიდის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაღალჩინოსნების ჯიბეში. ეს ჩემი ვარაუდია, მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ ეს თანხები სხვადასხვა წრეებზე ნაწილდება.

**თეა თუთბერიძე**: მე დავაზუსტებდი ამ საკითხს. ამასთან დაკავშირებით მუშაობდა, როგორც მონიტორინგის საბჭო, ისე სახალხო დამცველის აპარატი. უხეში დაანგარიშება ხდებოდა იმ თანხებისა, რაც იკრიბება ყოველთვიურად სასჯელაღსრულების სისტემაში და ეს თანხა, ე.წ. "ობშიაკი", რომელსაც კრებს ქურდულ სამყაროსთან ერთად ციხის ადმინისტრაცია, საბოლოოდ თვეში და ჯამში აღწევს მილიონ ლარს. ამ ფულის ერთი ნაწილი ქურდულ სამყაროში მიდის, ნაწილი კი დეპარტამენტში. დღეს ბატონი კოპაძის მოადგილე გახლავთ ვინმე ხუჯაძე, რომელიც კოტე კემულარიას მოადგილე გახდა, ჯერ კიდევ მისი იუსტიციის მინისტრობის დროს, შევარდნაძის პერიოდში. მანამდე ხუჯაძე დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი რაიონის ტრასების უფროსი გახლდათ, მიუხედავად ამისა, იუსტიციის მინისტრის მოადგილის თანამდებობა მიიღო. მისი მაშინდელი ერთადერთი ფუნქცია ფულის შეგროვება გახლდათ. ვშიშობ, კოპაძის მოადგილედაც იგი სწორედ ამ მიზნით დაინიშნა.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური, (ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. N89/24, საიდ. კოდი 201955296, ა/ა 001132801, საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველო კოდი 220101107) აცხადებს ღია, ორეტაპიან ტენდერს **ქ. თბილისის ტერიტორიების შესწავლისა და ქალაქთმშენებლობითი ანალიზისთვის** და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესასრულებელი სამუშაოები დაყოფილია ორ ლოტად:

**I - ლოტი:** დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, დიდუბე, საწარმოო ზონები;

**II - ლოტი:** ისანი-სამგორის რაიონი, არსენალისა და მისი მიმდებარე ტერიტორია.

1. დაფინანსების წყაროა - ქ. თბილისის ბიუჯეტი.

2. მიწოდების სასურველი ვადაა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 1 აპრილამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ღირებულების გარეშე) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 21 დეკემბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. N89/24.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას.

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) დადგენილება სასამართლოდან რეგისტრაციის შესახებ, წესდების ან დებულების თანდართვით.

**4.2 ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ;

დ) ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**4.3 როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირისათვის:**

a) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების განხორციელების შესახებ:

ბ) ინფორმაცია ტენდერში მონაწილის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

გ) ინფორმაცია სუბკონტრაქტორის მიერ გასაწევი სამუშაოს შესახებ;

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდა.

6. ტენდერში მონაწილეობის მსურველს აქვს ერთი სატენდერო წინადადების წარმოდგენის უფლება;

7. საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას პირველადი სატენდერო წინადადება ზოგადი მონაცემებით, ღირებულების გარეშე.

8. სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული სატენდერო წინადადებებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

9. პირველადი და საბოლოო სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას წარედგინება დახურული კონვერტებით.

10. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადებების მიღება ტენდერის მეორე ეტაპზე მოწვეულ პრეტენდენტებს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N89/24, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური.** სატენდერო დოკუმენტაციის გადაცემის კონკრეტული ვადა პრეტენდენტებს ეცნობებათ საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგებთან ერთად, შერჩევიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) დღის ვადაში.

11. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: **ბ. გელდიაშვილი** - სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელ: 96-91-26 და **ალეკო ჩხეიძე** - სამსახურის მთავარი სპეციალისტი, საკონტაქტო ტელ: 96-91-25 მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N89/24, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური.

სატენდერო კომისია.

# იხსენით ჩვენი სულები . . .

სამი წერტილი, სამი ტირე, სამი წერტილი, SOS . . . , SOS . . . , SOS . . . - “იხსენით ჩვენი სულები. . .”! “იხსენით ჩვენი სულები. . .”! 1838 წლიდან, თითქმის ორი საუკუნეა, ისმის მორზეს ანბანით გადაცემული, უბედურების მაუწყებელი ეს სიგნალი. თავდაპირველად მას მეზღვაურები იყენებდნენ ზღვებსა და ოკეანეებში განცდილი კატასტროფის დროს, საშველად უხმობდნენ უახლოეს მცურავ საშუალებებს (სხვათაშორის, საზღვაო რადიოსაუბრების პრაქტიკაში დღესაც შემორჩა ტრადიცია, როდესაც ყოველ საათში ბოლო ხუთი წუთი მხოლოდ SOS სიგნალს ეთმობა, ეთერში ყველა სხვა საუბარი იკრძალება). შემდეგ მისი გამოყენება უკვე ხმელეთზეც დაიწყეს და, სულ მალე, იგი უბედური შემთხვევის, კატასტროფის მაუწყებელ სიგნალად, განსაცდელში მყოფი ადამიანების ღაღადად იქცა.

ამ ხნის მანძილზე, მორზეს ანბანით გადაცემულმა ამ მოკლე შეტყობინებამ უამრავი ადამიანის სიცოცხლე იხსნა. როდესაც გემი კატასტროფას განიცდის, იგი უცებ არ იძირება. თავიდან მგზავრებმა, შესაძლოა მეზღვაურებმაც კი ვერ იგრძნონ უბედურების მოახლოება. შემდეგ, საათების მანძილზე, გემი ნელნელა, მაგრამ სტაბილურად იწყებს გვერდზე გადაწოლას ან ჩაძირვას. ბოლოს ეს პროცესი სულ უფრო ჩქარდება და . . . ყველაფერი ერთ წუთში აღესრულება. მაშველებს, უკიდეგანო ზღვებსა თუ ოკეანეებში, უდაბნოსა თუ ყინულის სამყაროში ძალიან მცირე დრო ეძლევათ თანამოძმეების გადასარჩენად, მაგრამ ეს არის შანსი, რომელსაც ადამიანები ხშირად (სამწუხაროდ ყოველთვის ვერა) წარმატებით იყენებენ. ეს არის შანსი, როდესაც ადამიანს შეუძლია თავი ადამიანად იგრძნოს, დაივიწყოს შუღლი - ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა სახის დაპირისპირება, მტრობა, წყენა და ხელი საშველად გაუწოდოს მას, ვისაც ეს ყველაზე უფრო სჭირდება.

SOS . . . , SOS . . . , SOS . . . - “იხსენით ჩვენი სულები. . .”! “იხსენით ჩვენი სულები. . .”! შველას ითხოვს კაცობრიობა და მღაღადებელთა ამ ქოროს საქართველოც უერთდება.

საბაბიც არსებობს - მსოფლიოში რამდენიმე ათეული მილიონი აივ ინფექცია/შიდსით ინფიცირებული ადამიანი ცხოვრობს და შიშით შეჰყურებს მომავალს. რაც შეეხება საქართველოს, ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის 2005 წლის 15 ნოემბრის მონაცემებით, ჩვენთან რეგისტრირებულია შიდსის ვირუსით ინფიცირების **831** შემთხვევა. აქედან, ყველაზე მეტი თბილისშია რეგისტრირებული (313 შემთხვევა), შემდეგ სამეგრელოში (136, აქედან ზუგდიდში - 96), აჭარაში (124), იმერეთში (81), აფხაზეთში (29), კახეთში (21), ქვემო ქართლში (20), ფოთში (18), სამცხე-ჯავახეთში (16), გურიასა და შიდა ქართლში (14-14). სხვა რეგიონებში რეგისტრირებულია ერთეული შემთხვევები. გამოვლენილი 26 უცხოეთის მოქალაქიდან, 16-მა უკვე დატოვა საქართველო და საკუთარ ქვეყანაში დაბრუნდა.

ცნობისთვის, ჩვენს ქვეყანაში აივ ინფექცია/შიდსით ინფიცირების პირველი შემთხვევა 1989 წელს გამოვლინდა, ხოლო ბოლო 5 წლის მონაცემებით ინფიცირების ახალ შემთხვევათა ნელი, მაგრამ სტაბილური ზრდის ტენდენცია აღინიშნება: 2000 წელს - 79, 2001 წელს - 93, 2002 წელს - 95, 2003 წელს - 100, 2004 წელს - 163, მიმდინარე წლის 15 ნოემბრის მონაცემებით - 193 ახალი შემთხვევა (წლის ბოლომდე, როგორც ჩანს, ეს ციფრი კიდევ გაიზრდება).

ანალოგიური, შესაძლოა უფრო ტრაგიკული ვითარებაა დანარჩენ მსოფლიოში. აივ ინფექცია/შიდსით ინფიცირების ზრდის განსაკუთრებით საშიში ტემპები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში - რუსეთსა და უკრაინაში შეიმჩნევა. ოდნავ უკეთესი, მაგრამ მაინც საგანგაშო ვითარებაა საქართველოშიც. ჩვენი "გემი" ისევე, როგორც დანარჩენი მსოფლიოს "გემები", ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად, სულ უფრო იხრება და ფსკერისკენ ჩაშვებას ლამობს.

საშიშროება კაცობრიობისთვის იმდენად სერიოზულია, რომ უბედურების სიგნალი "იხსენით ჩვენი სულები. . ." გაეროს მაღალი ტრიბუნიდანაც გაისმის: "თუ 2015 წლისთვის განზრახული გვაქვს ამ სასტიკი, ულმობელი დაავადების გავრცელების შეჩერება, მსოფლიო თანამეგობრობამ, კიდევ უფრო უნდა გააააქტიუროს ძალისხმევა ამ მიმართულებით". ბრძანებს კოფი ანანი, გაეროს გენერალური მდივანი და მოგვიწოდებს: „შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღეს გთხოვთ ყველას, გავერთიანდეთ სანუკვარი მიზნის მისაღწევადო".

ნამდვილად დადგა დრო გავერთიანდეთ სანუკვარი მიზნის მისაღწევად, გამოვიჩინოთ გონიერება, დავივიწყოთ მტრობა, გვერდზე გადავდოთ უარყოფითი ემოციები, შეუწყნარებლობა, ამბიციები და, სხვათაშორის, ინერტულობა და ინდიფერენტულობაც, რამეთუ ის, რომ მავანს გონია, თითქოს მის "გემს" ჯერ არაფერი ემუქრება ან ვერ გრძნობს უკვე მოახლოებულ განსაცდელს, სულაც არ ნიშნავს, რომ ხვალაც ასევე არხეინად შესძლებს ცხოვრებას.

ცხადია, ვიცით, რომ აბობოქრებულ ოკეანეს ყოველთვის, ყველას ვერ გამოვტაცებთ, მაგრამ უნდა ვეცადოთ დანაკარგები მინიმუმამდე დავიყვანოთ..

ოდესღაც, ათეულობით საუკუნის წინ, საიდუმლოებას ნარკოტიკული საშუალებების შესახებ მხოლოდ ქურუმები და სხვადასხვა ჯურის ჯადოქრები ფლობდნენ, მკაცრად იცავდნენ მას და საიდუმლოდვე გადასცემდნენ მემკვიდრეებს. საიდუმლოების გაცემა სასტიკად, ხშირად სიკვდილით ისჯებოდა. მე-20 საუკუნისთვის ვითარება რადიკალურად შეიცვალა, ინფორმაცია ნარკოტიკების შესახებ უკვე ბავშვებისთვისაც ხელმისაწვდომი გახდა. სამწუხაროდ, მათი ცნობისმოყვარეობა მარტო თეორიული ცოდნით არ შემოიფარგლება. პირველი უშუალო შეხება "მსუბუქ ნარკოტიკებთან" 11 - 14 წლის ასაკში იწყება, ზოგიერთ ქვეყნებში კი, მართალია ერთეულ შემთხვევებში, მაგრამ მაინც, 7-8 წლის ასაკში.

ცხადია, ნარკომანია თავისთავად სავალალოა. მისი მომხმარებლები მძიმე სენით არიან შეპყრობილი, რომელიც ანადგურებს მომხმარებლების ხორცსა და სულს, არყევს ჯანმრთელობას, უარყოფითად მოქმედებს ფსიქიკაზე, ინტელექტზე, რეპროდუქციულ ფუნქციაზე. მაგრამ მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან ვითარება კიდევ უფრო მძიმდება, ისევე, როგორც იზრდება მისგან გამოწვეული ზიანი. მიზეზი მარტივია - ნარკოტიკული საშუალებების პარალელურად სულ უფრო აქტიურდება აივ/შიდსი, მზაკვრული დაავადება, რომლის ფართოდ გავრცელებას ხელს, სწორედ ნარკოტიკები, ძირითადად ინექციური მოხმარების ნარკოტიკული საშუალებები უწყობენ.

როგორ დავიცვათ მოზარდები, როგორ დავიცვათ ახალგაზრდები, ბოლოს და ბოლოს საკუთარი თავი არა მარტო ნარკოტიკებისგან, არამედ მომაკვდინებელი, ჯერჯერობით უკურნებელი აივ/შიდსისგან? პასუხი ამ კითხვაზე, სამწუხაროდ, არ არსებობს. არის მრავალი ქვეყნის მეცნიერისა და სპეციალისტის მცდელობა, არის პატარპატარა შედეგები, იმედები, მაგრამ პრობლემის საბოლოო გადაჭრის შესაძლებლობა მაინც ბურუსით არის მოცული.

რა ვქნათ, ხელები ჩამოვუშვათ, მივენდოთ მეცნიერებსა და სპეციალისტებს, თვინიერად ველოდოთ, თუ როდის მიაგნებენ ისინი საშინელი ვირუსის დამთრგუნველ საშუალებას, უზრად გავაცილოთ უკანასკნელ გზაზე ამ ვირუსის "დახმარებით" გარდაცვლილი ჩვენივე სისხლი და ხორცი, თუ ვიბრძოლოთ ზიანის მაქსიმალურად შესამცირებლად? კაცობრიობის "უმრავლესობის" გადაწყვეტილებით ბრძოლა სწორედ ზიანის შემცირებაზე უნდა იყოს ორიენტირებული და არა უშედეგო მუშტების ქნევაზე, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ კვლევები აივ/შიდსის საბოლოოდ დასამარცხებლად შეყოვნდება.

რას ნიშნავს "ზიანის შემცირება", რა იმალება ამ ტერმინის უკან? გაგიკვირდებათ და მხოლოდ ზიანის შემცირება და სხვა არაფერი. წარმოიდგინეთ, თუმცა ამას წარმოდგენა არც უნდა, ბრმა უნდა იყო, რომ არ დაინახო, თუ როგორ იმძლავრა ნარკომანიამ, როგორ შეუწყო მან ხელი აივ/შიდსის ინფექციის გავრცელებას, როგორ მომრავლდა ჯერ სრულიად ახალგაზრდა ადამიანების - ქალებისა და ვაჟების ნამდვილად უდროოდ გარდაცვალების ფაქტები, გამოსავალი კი არა ჩანს. აიკრძალა ნარკომანია, ციხეები ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლებით გაივსო, მაგრამ შემცირების ნაცვლად, ნარკომომხმარებლებისა და ინფიცირებულების რიცხვი დღიდან დღემდე იზრდება. რა სიჯიუტეა, ხედავდე, როგორ უშედეგოდ ებრძვი "დანაშაულს" და მაინც ცდილობდე "ბეტონის კედლის თავით გატანას" ანუ არ ცვლიდე მასთან ბრძოლის სტრატეგიას, მეთოდებს.

ზიანის შემცირების პროგრამების ყურადღების ცენტრში დგას მიღწევადი და რეალური მიზნები: ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული ზიანის შემცირება და არა თვით ნარკოტიკების ამოძირკვა. ზიანის შემცირების პროგრამებს შეუძლიათ ინფექციების გავრცელების თავიდან აცილება, აივ/შიდსისა და ჰეპატიტის ჩათვლით; დოზის გადაჭარბებისა და სხვა შედეგების შემცირება, რომლებიც უშუალო კავშირშია ნარკოტიკების მიღებასთან, უბედურ შემთხვევებთან პოტენციური სიკვდილიანობის შედეგით; ნეგატიური შედეგების შემცირება, სიღარიბისა და დანაშაულებების ჩათვლით, რომლებიც ნარკოტიკების მიღებას ცალკეული პირებისა თუ საზოგადოებისთვის მოაქვს.

ზიანის შემცირება ნარკოტიკების მოხმარებას განიხილავს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის რეალისტური და პრაგმატული პოზიციიდან და პრაქტიკულად განხორციელებად მიზნებზეა კონცენტრირებული. უფრო მეტიც, ყურადღების ქვეშ ექცევა ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელთა შორის სისხლით გადამდები ინფექციების პრევენცია, ზიანის შემცირების პროგრამები ხელს უწყობს აივ/შიდსის გავრცელების პროფილაქტიკას მოსახლეობაში.

დიახ, განვითარებულ ქვეყნებში მიხვდნენ, რომ საქმე არა დანაშაულთან, არამედ უმძიმეს დაავადებასთან აქვთ, რომლის განკურნება ჯერ შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მისგან გამოწვეული ზიანის საგრძნობლად შემცირება და არც დააყოვნეს. შესაბამისი ცვლილებები შეიტანეს კანონმდებლობაში, ნარკომანიასთან ბრძოლა ძალოვანი და სამართალდამცავი ორგანოებიდან ჯანდაცვის სისტემაში გადაიტანეს და დაიწყეს ზიანის შემცირების პროგრამების განხორციელება.

წინასწარ გეტყვით, შედეგი საკმაოდ დამაიმედებელი მიიღეს. იმ ქვეყნებში, სადაც ეს პროგრამა ხორციელდება, შეჩერდა ან საგრძნობლად იკლო აივ ინფექცია/შიდსით ინფიცირებისა და მისგან გარდაცვალების შემთხვევების რაოდენობამ.

დღეს საუბარი გვექნება ნარკომანიით დაავადებულთა ზიანის შემცირების პროგრამის ერთ-ერთ სახეზე - ჩანაცვლებით თერაპიაზე. როდესაც ამ მეთოდზე ვსაუბრობთ, თავიდანვე უნდა შევთანხმდეთ, რომ იგი მხოლოდ ოპიოიდური ნარკომანიით დაავადებულთა შემთხვევაში გამოიყენება. რაც შეეხება ავადმყოფებს (უნდა შევეჩვიოთ, რომ აწ და მომავალში, ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლებს არა დამნაშავეებად ან ნარკომანებად, არამედ ავადმყოფებად მოვიხსენიებთ), რომლებიც სხვა ნარკოტიკულ საშუალებებზე არიან დამიკიდებულნი, მათთვის შესაბამისი ტექნოლოგიები ჯერ არ არის დამუშავებული.

პრაქტიკულად საუბარი გვექნება მეტადონით ჩანაცვლების თერაპიაზე. ამ მეთოდიკას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია და საკმაოდ ფართო გამოყენება აქვს (არსებობს უამრავი სამეცნიერო-სამედიცინო ლიტერატურა), თუმცა მოიხმარენ სხვა პრეპარატებსაც (ბუპრენორფინი, კოდეინი, **LAAM**-და სხვა), რომლებიც ასევე მისაღებია ჩანაცვლებითი თერაპიის განსახორციელებლად, მაგრამ ამ პრეპარატების გამოყენების მეთოდიკა გაცილებით უფრო ძვირი და ნაკლებად შესწავლილია.

როდესაც მეტადონით მკურნალობაზე და მის ისტორიაზე ვსაუბრობთ, ალბათ, უნდა გავიხსენოთ, რომ პირველად იგი ნიუ-იორკში, 1964 წელს, პაციენტების ძალიან პატარა ჯგუფზე იქნა აპრობირებული. წარმატება იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა, რომ უკვე რამდენიმე წლის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიქმნა კლინიკების ქსელი, დიდი ოდენობით ნარკოდამოკიდებული პაციენტების სამკურნალოდ, რომლებმაც ასეთი სურვილი გამოთქვეს.

გარდა ამისა, მეტადონით მკურნალობა სხვა ქვეყნებშიც დაიწყეს, თუმცა მეთოდიკა ყველგან განსხვავებული იყო. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში მეტადონი დღესაც შედის აკრძალული პრეპარატების სიაში, აივ-ინფექციის ეპიდემიასთან დაკავშირებით, მაინც თითქმის ყველგან გამოიყენება, როგორც ნარკოდამოკიდებულების სამკურნალო საშუალება. სხვათაშორის, თავად ამერიკის შეერთებული შტატების რვა შტატში და ჩრდილოეთ ავსტრალიაში მისი მოხმარება ადგილობრივი კანონებით აკრძალულია, რაც სამედიცინო წრეებში განიხილება როგორც უმეცრებისა და ცრუმორწმუნეობის ნიშანი.

გასული საუკუნის 80-იანი წლების აივ-ინფექციის ეპიდემიის საპასუხოდ მოწვეულ იქნა "ჯანდაცვის სისტემის სპეციალური კონფერენცია", რომელზეც გაიმარჯვა, ჩვენის აზრით, გონივრულმა, საღმა მიდგომამ ზიანის შემცირებაზე და ამ მიდგომის ერთერთ შემადგენელ ნაწილად ცნობილ იქნა მეტადონური თერაპიის სტრატეგია.

რა შედეგები მოაქვს ამ სტარტეგიას. პაციენტებს, რომლებიც დამოკიდებულნი არიან ასე ვთქვათ, "ქუჩის ოპიოიდებზე" (არალეგალური ნარკოტიკები), მაგალითად, ჰეროინსა და მორფინზე, მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის ჩატარებისას აღარ აღენიშნებათ აბსტინენციური სინდრომი ("ლომკა"). მეტადონი ეხმარება მათ არალეგალური ნარკოტიკებისადმი ლტოლვის გადალახვაში და ბლოკირებას უკეთებს მათ ზემოქმედებას. იგი მოქმედებს როგორც მორფინი ან ჰეროინი, მაგრამ გააჩნია უფრო ხანგრძლივი მოქმედების (დაახლოებით 3-ჯერ მეტი ვიდრე ჰეროინს) და უფრო ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი ვიდრე მორფინსა და ჰეროინს, ამასთან, არ იწვევს ეიფორიას (ნარკოტიკებით გამოწვეული თრობის მდგომარეობა), მიიღება ორალურად და არა ინექციის სახით.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ მეტადონით ჩანაცვლების თერაპიას და, ამდენად, გვახარებს ყველა საიმედო შედეგი, რომელსაც ჩვენი კოლეგები იღებენ სხვადასხვა ქვეყნებში, არ ვიქნებოდით გულწრფელნი, რომ არ გვეთქვა ზოგიერთი მეცნიერისა და მკვლევარის მეტადონით მკურნალობის უარყოფით დამოკიდებულებაზე. მათ მიაჩნიათ, რომ მეტადონით ჩანაცვლების თერაპია არც თუ ისე უვნებელია, რომ იგი კიდევ უფრო დამოკიდებულს ხდის მის მომხმარებელს, ხოლო თავისი ტოქსიკური მოქმედებით აღემატება კიდეც მორფინსა და ჰეროინს.

სამწუხაროდ, ამ მოსაზრებებს მყარი არგუმენტები ან სერიოზული კვლევის შედეგები არ მოჰყოლია, რაც საბაბს არ გვაძლევს, ბრმად ვენდოთ მათ. ცხადია, უმჯობესია სხვის შეცდომებზე ვისწავლოთ ვიდრე საკუთარზე და დაფიქრების საბაბიც ნამდვილად გვაქვს, მაგრამ მეტადონით მკურნალობის ორმოცწლიანი, საკმაოდ წარმატებული გამოცდილება, რომელიც მრავალ ქვეყანაში აქვთ მიღებული, საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ, თუ მეტადონით ჩანაცვლების მეთოდს შეუძლია შეამციროს ნარკომანიისა და აივ-ინფექციის/შიდსის შემდგომი გავრცელება საქართველოში, შანსი ხელიდან არ გავუშვათ.

დიდი ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერმინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა ერთხელ ბრძანა: დემოკრატია საშინელებაა, მაგრამ, სამწუხაროდ, კაცობრიობას უკეთესი არა მოუგონია რაო. დავესესხებით ბატონ პრემიერს და ვიტყვით, რომ - მეტადონით ჩანაცვლების თერაპია საშინელებაა, მაგრამ ვაი, რომ კაცობრიობას უკეთესი ჯერ ვერაფერი აღმოუჩენია რა!

# ერთი სპექტაკლი და დიდი იდეა

## "ქრონიკა" - სპექტაკლი, გაკვეთილი თუ აქცია ქართველობისთვის

სოფო კილასონია

ზაფხულში თეატრალურმა სარდაფმა ვაკეში ოთარ ეგაძისა და გურამ ქართველიშვილის სპექტაკლით დაასრულა სეზონი. მაშინვე ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ წარმოდგენამ გამაოცა. სცენამ, რომელიც აქამდე კომერციულ, ეფექტების მომხდენ და არანაირად კონცეპტუალურ წარმოდგენებს მასპინძლობდა, მაშინ მაყურებელს დიდი აქცია ჩაუტარა. ლამის სამი საათი საქართველოს ისტორიის გაკვეთილზე დასვეს და ამბები ისე უამბეს, როგორც არავის და არასდროს. მაშინ მაყურებლის ნაწილი ოხრავდა და წუწუნებდა. სარდაფისგან მორიგ კომედიას ელოდა და იმედგაცრუებას ვერ მალავდა, თუმცა იყო ნაწილი, თანაც საკმაოდ დიდი, რომელიც აღფრთოვანებას ვერ მალავდა, სცენაზე მიმდინარე პროცესში ისე ჩაერთო, რომ მთხრობელს ანუ მასწავლებელს (დუტა სხირტლაძეს) სიტყვას არ აცლიდა და საკუთარ ცოდნას ამოწმებდა. "ქრონიკა" რომ უბრალოდ ისტორიულ თემაზე დადგმული თეატრალური სანახაობა არ არის, ამაზე მთელი დადგმის სტრუქტურა მიუთითებს. ბაგრატ III-დან დაწყებული და დავით აღმაშენებლის გარდაცვალებით დამთავრებული, წარმოდგენაში ყველა მთავარი ეტაპი და ერთდროულად პატარა და დიდი ეპოქები ისე გაიშალა, რომ არც თეატრალურ საფუძველს დაუკარგავს რამე და ისტორიაც ძალიან ნაღდი და დამაჯერებელი დარჩა - ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო სინამდვილეში, ლეგენდებს, ოდებსა და პათეტიკას მოკლებული. მეფეები კი - ადამიანები, რომლებიც ცხოვრობდნენ, იბრძოდნენ, ყველაფერს წირავდნენ მხოლოდ ერთისთვის, იმ ქართველობისთვის, რომელიც ეპოქებს გადასცეს და როგორღაც მაინც შეინარჩუნეს. ყველაზე საინტერესოდ მე მაინც რეჟისორული ხერხები მომეჩვენა. ხერხები, რომლებიც ისტორიული მასალის ფონზე ძალიან კარგად დაჭერილ პირობითობაში დავინახე. პირობით სახეებში, პირობით გათამაშებაში, რამაც რეჟისორი ამბების შაბლონური და ნაცნობი თხრობის მანერას და მათ პათეტიკურ, ყალბ ინსცენირებას გადაარჩინა.

მათთვის, ვინც იმ დღეს ჩემთან ერთად იხილა წარმოდგენა და არ მოეწონა, სევდას იოლად გაიქარვებდნენ. თბილისის ყველა თეატრის და თავად სარდაფების რეპერტუარები დატვირთულ-დახუნძლულია "გემრიელი და სახალისო კამფეტებით", მათ კი, ვინც აზრი, მიზანი და შედეგი მეტ-ნაკლებად მაინც დაინახა, ამ სტატიასაც ინტერესით მოეკიდება და "ქრონიკის" შემდგომ ვერსია-წარმოდგენებსაც არ გამოაკლდება.

მაინც ვინ არიან ავტორები ქართული თეატრისთვის ამ ბოლო დროს უჩვეულოდ კონცეპტუალური მოვლენისა სახელად - "ქრონიკა"? გურამ ქართველიშვილი - დრამატურგიული საფუძველი, ოთარ ეგაძე - ხორცშემსხმელი რეჟისორი და შოთა გლურჯიძე - გამფორმებელი, შემამკობელი მხატვარი. მაინც რატომ ირჯებოდნენ ასე? ამაზე უკვე "ქრონიკის" და საერთოდაც, იდეის ავტორი გურამ ქართველიშვილი საკმაოდ ვრცლად მპასუხობს და პრობლემებს მაგალითებისა და პარალელების მოტანით შლის:

"მიუხედავად იმისა, რომ კომერციული თეატრია და თვითდაფინანსებაზე ზრუნვა უწევს, გვერდით დამიდგნენ და ერთი შეხედვით არც ისე ხელსაყრელ იდეას გაჰყვნენ. ვიქეცით ერთ გუნდად, რომელიც, ჩვენი აზრით, ძალიან მნიშვნელოვან თემაზე მუშაობს.

უახლოეს წარსულში ყველაფერი გააკეთეს, რომ ჩვენი ისტორია დაგვვიწყებოდა. რუსები რომ შემოვიდნენ, პირველ რიგში ფრესკები წაგვიშალეს. წმინდა გიორგის და, საერთოდ, რჯულს ვინ დაივიწყებდა, მაგრამ ქტიტორების სახეები დავკარგეთ და ისტორიის ცოდნაც ძალიან ზერელე გახდა. იყვნენ დიდი პიროვნებები, რომლებმაც თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ყველაფერ ქართულის გადარჩენაში, მაგრამ მათი სახელების ამოშლაც დაიწყეს ჩვენი გონებიდან. რა თქმა უნდა, ყველა ჩვენმა დიდმა მამამ ხარკი მოიხადა მათ წინაშე. ილია ჭავჭავაძის მთელმა გუნდმა და ყველამ, ვისაც კალამი უჭრიდა, ჩვენი ისტორიის წინაშე რაღაც მაინც გაიღო. ილებდნენ გარკვეულ პერიოდს ისტორიიდან და იმ ხალხისა და მოვლენების ერთგვარ პიარს აკეთებდნენ. მაგრამ მათ მიერ დაწერილი და გაკეთებული არც მაშინ იყო ამ თვალსაზრისით საკმარისი და დღეისთვისაც მოძველებულია. თანამედროვე ადამიანის ყურს სხვაგვარად მოყოლილი ისტორია სჭირდება. დღეისთვის პოპულარულ ენაზე დაწერილი ლიტერატურა საქართველოს ისტორიაზე არ არსებობს. ისეთი, რომლის წაკითხვა საინტერესო იქნება ბავშვისთვის, მოზარდისთვის და ნებისმიერი რიგითი ქართველისთვის. არ ვგულისხმობ ისტორიკოსებს და მათთვის დაწერილ წიგნებს. არის "უქარქაშო ხმლები," მაგრამ იქაც დიდი პრობლემებია. ჩვენს ისტორიას არ სჭირდება შელამაზება და გარკვეული პათეტიკა. ისედაც დატვირთულია ჩვეულებრივი, ძალიან ლამაზი, ძალიან ცხოვრებისეული და რეალისტური ამბებით.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ ჩვენი ვინაობა, უნდა ვიცოდეთ, ვინ ვართ. თუ დააკვირდებით პოლიტიკოსებს, იშვიათად, რომ ვინმემ მოიყვანოს მაგალითი საქართველოს ისტორიიდან. არადა, ჩვენ არ





სცენები სპექტაკლებიდან.

გვჭირდება სხვა ქვეყნის მაგალითები. საკუთარიც უამრავი გვაქვს. ხშირად ისმის, რომ "ეს მეორე ბაზალეთია", ძმათა შორის დაპირისპირებას ყველა პოლიტიკოსი არქმევს ბაზალეთს. მაგრამ არც ერთს წარმოდგენა არა აქვს, რა იყო ბაზალეთის ომი. მეეჭვება ვინმემ იცოდეს, ვინ მართავდა მაშინ საქართველოს, რა პოზიციები ეჭირა ქვეყანას, რა იყო ეს ეპოქა საერთოდ."

"ქრონიკის" ავტორის თქმით, ჩვენი ცოდნა ჩვენივე ისტორიისა ძალიან ზერელე და ბუნდოვანია, რაშიც არაერთი მაგალითი გვარწმუნებს. თუ არ ჩავთვლით რთული ენით დაწერილსა და დაბეჭდილს, ისტორიის ლიტერატურა არაისტორიკოსებისთვის არ არის და თუ რაღაც მაინც მოიძებნება, მათ ნამდვილად აკლია ხან ინტერესი, ხან რეალიზმი, ხანაც თხრობის ის მანერა და ლიტერატურული ენა, რომლითაც მკითხველს მიიზიდავს, მით უფრო ახალგაზრდას. ამას გარდა, თუ დავუკვირდებით (და ასეც უნდა მოვიქცეთ), დავინახავთ, რომ არც ერთი მედია-საშუალება არ ახორციელებს რაიმე პროექტს, რომელიც ზოგიერთს მაინც გაარკვევდა, გიორგი სააკაძე მეფე იყო თუ არა, ან უფრო მარტივ ინტერესს მაინც გაუჩენდა, მაგალითად, ასეთს: მაინც ვინ იყო სააკაძე? სხვა რაიმე პრეტენზია ტელე-რადიო პროექტებთან ნუ გვექნება. ვიყოთ სამართლიანები და ვთქვათ: არის ერთი თუ ორი ისტორიული გადაცემა, თუმცა მათი ერთფეროვანი, არაფრისმთქმელი ფორმა და გარეგნობა, ხშირად კი ღრმად პროფესიული და პათეტიკური ლექსიკა დიდად არ იპყრობს ჩვენს ყურადღებას.

"ქრონიკა" წარმატებით მიმდინარეობს. მას სკოლები და ახალგაზრდები ესწრებიან. შესაძლოა, საერთო მოწონებამ განაპირობა ის, რომ სადადგმო ჯგუფს კიდევ ორი მსგავსი წარმოდგენის დადგმის სურვილი გაუჩნდა. მეორე და მესამე ქრონიკაში ისტორია გაგრძელდება. როგორც ბატონმა გურამმა მითხრა, იგი დავით IV-ის შემდგომი პერიოდისა და თამარის ეპოქას წარუდგენს ოთარ ეგაძეს. საბოლოო გაჩერება კი ალექსანდრე დიდის ეპოქა იქნება.

"ჩვენი მაყურებელი უკვე შეეჩვია საქართველოს ისტორიის მოსმენას. ახლა შეიძლება გავაგრძელოთ. შეიძლება მან ისეთი ინტერესით უყუროს ამ სპექტაკლებს, როგორც კარგ დეტექტივს უყურებდა. და ეს გასაგებიცაა: აქ ხომ უამრავი ინტრიგა და უამრავი საინტერესო ამბავია. ამას გარდა, მინდა ადამიანებს დავანახო ის სახეები და პიროვნებები, ვინც სხვების ჩრდილში ან მატიანის გვერდებზე დაიკარგა, მეხსიერებაში მკაფიოდ არ დარჩა. არადა, განუზომლად დიდია მათი წვლილი იმაში, რომ აქამდე მოვედით. ჩვენ ვსაუბრობთ ბაგრატიონთა გმირობაზე, მაგრამ ცოტამ თუ იცის, როგორ და რის ფასად აკეთებდნენ ამას. ბაგრატიონები ყველაფერს წირავდნენ ქვეყნისთვის - საკუთარ სისხლსა და ხორცს, საკუთარ სიცოცხლეს, საკუთარ შვილებს. იმიტომ, რომ ჰქონდათ დიდი იდეა, დიდი მიზნები. ისინი ჭეშმარიტად იდგნენ ქვეყნის სამსახურში და ქმნიდნენ იმ იდეოლოგიას, რომელიც საქართველოს აშენებდა. და აი, ამ ყველაფრის პოპულარიზაცია მოგვცემს საკმაოდ კარგ შედეგს... ამას წინათ ვუყურე, სამაჩაბლოში, პატარა კონფლიქტის დროს, ჩვენი კულტურის მესვეურებმა წინა ხაზზე წამსვლელ ხალხს როგორ ჩაუტანეს ბევრი ხინკალი, ჩაიყვანეს მოცეკვავე გოგონები და ამის შემდეგ გაუშვეს წინა ხაზზე. ამ უნიჭობას ყველაფერი ჯობს. ამით იდეოლოგიას ვერ შევქმნით. ქვეყანამ სისხლი უნდა გამოუშვას და რაღაც გაიღოს პათეტიკამოკლებული და არაყალბი იდეოლოგიისთვის. ეს უნდა მოვახერხოთ, თორემ, ხომ ხედავთ, რამდენად არაფრისმთქმელი და მარტივია ახალი თაობების მიერ დასმული პრობლემა-ამოცანები? ახალგაზრდებს ახალა თუ არ გავუღვიძეთ მივიწყებული გენი, მერე გვიან იქნება."

გურამ ქართველიშვილს, ოთარ ეგაძეს, შოთა გლურჯიძესა და მთელი სარდაფის მსახიობებს თეატრალური ვერსიის გარდა, სატელევიზიო პროექტის განხორციელების დიდი სურვილიც აქვთ. ეს პროექტი ჯერ მხოლოდ იდეის დონეზეა, თუმცა აუცილებლად გეგმავენ რომელიმე ტელეკომპანიის დაინტერესებას. თანაც ფიქრობენ, რომ ამ საკითხით პირველ რიგში ქვეყნის მმართველები უნდა დაინტერესდნენ, რადგან მათი იდეა ელემენტარული ტელე და სასცენო პროექტის ფორმებს სცილდება. ის ძალიან დიდია და მას ქართველობის შენარჩუნება ჰქვია.

# ნუ დაავუშვებთ ახალ შეცდომას

სამსონ ლეჟავა

საბჭოთა ეპოქის ნაგებობათა შორის საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეულთაგანია ფუნიკულიორის ქვედა სადგურის შენობა (არქიტექტორები გ. ბათიაშვილი და ტ. ქუთათელაძე, კონსტრუქტორი მ. ქებულაძე, ვიტრაჟის ავტორი ვ. ქოქიაშვილი). იგი შესულია თ. კვირკველიას ცნობილ წიგნში თბილისის ხუროთმოძღვრების შესახებ.

ამ ცოტა ხნის წინ აღმოვჩნდი ჭონქაძის ქუჩაზე, სადაც სწორედ ეს ნაგებობაა აღმართული. ვშიშობ, ბევრი რამ მეტყველებს იმაზე, რომ სულაც არ არის გამორიცხული მისი სახეცვალება.

ამთავითვე აღვნიშნავ: რაიმე სახის ცვლილება სრულიად გაუმართლებლად მიმაჩნია. თუმცა, მხოლოდ და მხოლოდ გარდაუვალი აუცილებლობის შემთხვევაში, როგორც რადიკალური, ისე ნაკლებად თვალშისაცემი ტრანსფორმაციაც კი, უპირობოდ ავტორებთან უნდა იქნას შეთანხმებული და, რაც მთავარია, მათვე წარმართონ კიდეც.

თუ არ იქნება გათვალისწინებული საავტორო უფლებები (რისი სამწუხარო მაგალითების მომსწრენი უკვე ვართ თუნდაც მერაბ ბერძენიშვილის დავით აღმაშენებლის ძეგლთან დაკავშირებით), ვფიქრობ, შედეგი წამგებიანი აღმოჩნდება.

მაინც რა ღირსებები აქვს ზემოთ აღნიშნულ არქიტექტურულ ობიექტს? ეს არის მართლაც მაღალპროფესიულად გამართული, გარკვეული ბრუტალურობის მატარებელი, პლასტიკურადაც ძლიერ გამომხატველი და მკაფიო დინამიკურობით გამორჩეული გადახურვის მქონე ნიმუში XX საუკუნის 70-იანი წლების აღმშენებლობაში, რომელიც შემოქმედებითი გაბედულების თვალსაზრისით უთუოდ ღირსშესანიშნავია. ისმება კითხვა: რა დააშავა ჩინებულმა, ცოცხალი რიტმულობით აღსავსე, საზეიმო და თანამედროვე აზროვნების წესის სრულფასოვნად გამომხატავმა ვიტრაჟმა "ზერიკაობამ", რამ განსაზღვრა მისი ჩამოხსნის აუცილებლობა (მოსალოდნელ დაზიანებათა გამორიცხვა გამოსავალი არ არის). მას, როგორც ყოველმხრივ საგულისხმო ნაწარმოებს, საკმაოდ ფართო რეზონანსი ჰქონდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. ავტორმა უდიდესი ძალისხმევა ჩააქსოვა ამ ვიტრაჟის შექმნაში და მხოლოდ საკუთარი ენთუზიაზმით აღადგინა იგი ვანდალურ შებღალვათა შემდგომ, რისი დაუფასებლობაც მიუტევებელია. ფაქტია, რომ ასეთი ფილიგრანულად დამუშავებული ქმნილება მართლაც დიდი იშვიათობაა.

ნაგებობაში ჩენილი სიხალვათე (მიღწეული აჟურული, ფერადოვნად ფაქიზი ვიტრაჟით, კედლებსა და სახურავს შორის საყრდენებით შექმნილი სივრცით), აყალიბებს მხატვრულად დამაჯერებელ კონტრასტს ზოგან ფაქტურულად ხაზგასმულ, მასიურ, წონად, მაგრამ იმავდროულად გრავიტაციის დამძლევ რიგ ენერგიულ ფორმებთან, რაც კულმინაციურია სახურავის ხატოვნად ზემიმართულ შვერილში. აღნაგობა საზრისითაც დატვირთულია - ფუნქცია, სტრუქტურული წესრიგი და მორთულობა აქ ერთი რიგის მიზანდასახულობას გამოხატავდა. თავს იჩენდა ფსიქოლოგიური შემზადებაც აღმასვლის პროცესისა, რასაც თან ახლდა ტრამვაის სივრცითად კარგად გათვლილი ვაგონებიდან თბილისის პანორამის ცოცხლად, "მოძრავად" აღქმის შესაძლებლობაც.



ფუნიკულიორის ქვედა სადგურის ვიტრაჟის ფრაგმენტი.

ყოველივე ეს აუცილებლად გასათვალისწინებელია, რათა ავერიდოთ ახალ გამოუსწორებელ შეცდომებს.

საზოგადოდ გამოსაკვეთია, რომ არა მხოლოდ ძველ, არამედ საბჭოთა ეპოქაში შექმნილ ხელოვნების საუკეთესო მაგალითებსაც ჯეროვანად არ ვეპყრობით, ზოგჯერ კი ფაქტობრივად ვწირავთ მათ. არც კი არსებობს მათი დაცვის თითქმის არანაირი, მათ შორის იურიდიული მექანიზმი. ძეგლის სტატუსიც ხომ ძალიან ცოტას თუ აქვს.

ძნელი სათქმელია, რა მოელის აგრეთვე ფუნიკულიორის ზედა სადგურის როგორც პროფესიულ წრეებში, ისე ჩვენს საზოგადოებაში აღიარებულ, ახლა კი გაპარტახებულ ხუროთმოძღვრებას (არქიტექტორები ზ. ქურდიანი და ნ. ქურდიანი, თანამონაწილე ა. ვოლობუევი, 1938 წელი), რომელსაც ნ. იგნატოვის 70-იან წლებში ძალზე პოპულარული, დღეს კი განადგურების პირას მისული უჩვეულო გამომგონებლობით აღსავსე მოხატულობა ამშვენებდა. არც დიღმის სასურსათო უნივერსამში არსებული, არანაკლებ მნიშვნელოვანი საეტაპო მოხატულობის, ა. ბანძელაძისეული "ქართული სოფლის" (70-იანი წ.წ.) მდგომარეობაა სახარბიელო, თუმცა, მის მიმართ ყურადღებას იჩენენ უნივერსამის მესვეურნი, რის გამოც იგი დღევანდლამდე შემორჩა. ზრუნვა ასეთი რანგის კულტურული მემკვიდრეობისადმი სულ სხვა დონეზე უნდა ხორციელდებოდეს. ასეთი მაგალითი, სამწუხაროდ, ბევრია.

ჩვენ იმის დავიწყების უფლება არ გვაქვს, რომ XX საუკუნის 70-იან წლებში ჩვენი ხელოვნების სხვადასხვა დარგში ერის შემოქმედებითმა პოტენციალმა მძლავრად იჩინა თავი, რაც მნიშვნელოვანწილად, მომამზადებელი ეტაპიც აღმოჩნდა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის პროცესში.

მთავარი კი მაინც სხვაა: საქართველოს ისტორია ახლა, დღეს როდი იწყება. ამ დიდი ისტორიის ნაწილია მთლიანობაში, საბჭოთა ხანაც, როდესაც დამთრგუნველი იდეოლოგიური ზეწოლის მიუხედავად არაერთი საგულისხმო, მათ შორის თვით საერთაშორისო მნიშვნელობის ფასეულობაც შეიქმნა საქართველოში, რის მიმართ უგულისყურობა უბრალოდ დაუშვებელია.

## სწავლა დიდ ბრიტანეთში

- ლონდონი, ოქსფორდი კემბრიჯი, ბრაიტონი
- ინგლისური ენის ცენტრი თბილისში

- გთავაზობთ მომზადებას ინგლისურ ენაში თანამედროვე მეთოდებით მაღალკვალიფიციური ინგლისელი და ქართველი სპეციალისტების მონაწილეობით. აბიტურიენტების მომზადებას ეროვნული გამოცდებისათვის.
- სწავლას დიდ ბრიტანეთში ინგლისური ენის კოლეჯებში და საუნივერსიტეტო პროგრამებზე: A-Level, Foundation, და Pre-MBA. საქართველოს ბანკის მიერ სწავლების დაფინანსების შესაძლებლობით.

საგანმანათლებლო სააგენტო ELL
თბილისი, ვაჟა-ფშაველას 30ა II სართული
ტელ: 39 92 46, 899 50 40 12
E-mail: n_makatsaria@yahoo.com

გაერთიანებული ქართული ბანკი
UNITED GEORGIAN BANK

## "გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა" გლდანში ახალი სერვის-ცენტრი გახსნა

"გაერთიანებული ქართული ბანკის" ფილიალებისა და სერვის-ცენტრების ქსელს გლდანში ახალი სერვის-ცენტრი შეემატა. სერვის-ცენტრი მომხმარებელს საბანკო პროდუქტის სრულ სპექტრს სთავაზობს, იქნება ეს მიმდინარე ანგარიშების მომსახურება, დეპოზიტების მრავალფეროვანი და მოქნილი სისტემის შეთავაზება, სწრაფი ფულადი გზავნილების საერთაშორისო და ლოკალური სისტემები, საერთაშორისო პლასტიკური ბარათების მომსახურება თუ სხვა.

"გაერთიანებული ქართული ბანკის" გენერალური დირექტორის იუზა თავდიდიშვილის განცხადებით, "გქბ"-ს გლდანის სერვის-ცენტრისათვის განსაკუთრებული პრიორიტეტი მიკრო და სამომხმარებლო სესხების მომსახურება იქნება.

მიკროსესხების პროგრამა "გაერთიანებულ ქართულ ბანკში" მე-4 წელია წარმატებით ხორციელდება და მომხმარებელთა აღიარებით სერიოზულად უწყობს ხელს მცირე ბიზნესის განვითარებას. მიკროსესხების ჭრილში აკუმულირებულმა საკრედიტო დაბანდებამ მთლიანობაში 14 მლნ. აშშ დოლარს გადააჭარბა, 50 000 აშშ დოლარამდეა გაზრდილი ერთ მიკროსესხზე გასაცემი ლიმიტის ოდენობა. საკრედიტო პროცედურები გამარტივებულია და მაქსიმალურადაა გათვლილი მომხმარებლის ინტერესებზე.

"გაერთიანებული ქართული ბანკისათვის" შედარებით ახალი პროდუქტია სამომხმარებლო კრედიტები. "გქბ"-მ ბაზარს ახალი პროდუქტი აგვისტოს თვიდან შესთავაზა და ამ მცირე დროში სამომხმარებლო დაკრედიტების კუთხით დაბანდებამ უკვე 2 მლნ. აშშ დოლარს გადააჭარბა.

"გაერთიანებულ ქართულ ბანკში" მიაჩნიათ, რომ გლდანის სერვის-ცენტრი ორგანულად ჩაეწერება ბანკის ინფრასტრუქტურაში და გლდანის რაიონის საკმაოდ მზარდი და მოქნილი ეკონომიკური განვითარების ტენდენციიდან გამომდინარე თავის სიტყვას იტყვის რაიონში მცირე და საშუალო ბიზნესის წარმატების საქმეში.

**ფარმაცევტული კომპანია კრკა-ს წარმომადგენლობა საქართველოში აცხადებს კონკურსს სამედიცინო წარმომადგენლის ვაკანტურ სამუშაო ადგილზე (1 ერთეული)**

სამუშაოდ მიიღება სამედიცინო განათლების მქონე, საქართველოს მოქალაქე, თბილისში მცხოვრები.

**აუცილებელია:**
1. კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა, მომხმარებლის დონეზე;
2. მანქანის მართვის მოწმობა (B-კატეგორია);
3. ინგლისური და რუსული ენის ცოდნა (კითხვა, წერა, სასაუბრო);

**მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს:**
ა) ავტობიოგრაფია;
ბ) 2 ფოტოსურათი;
გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი საბუთის ასლი;
გ) დახასიათება-რეკომენდაცია ბოლო სამუშაო ადგილიდან;

**საბუთების მიღება - 2005 წ. 19 დეკემბრამდე**
**გასაუბრება: 19 დეკემბერს 2005წ. 10.00-16.00**
**მისამართი: თბილისი, გამსახურდიას გამ.31 ა,ბ 17**
**ტელ: 899 508906**

KRKA კრკა

ნაუტილუსი

- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
  უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

"ნაუტილუსი" აცხადებს მნიშვნელოვან საახალწლო **ფასდაკლებას (25% - 50%)** "წონაში კლების და გაჯანსა-ღების" ახალ პროგრამაზე და ფიტნეს კლუბ "ნაუტილუს"-ში.

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge
Web-site: www.nautilus.ge

## განცხადება

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის N1 საშუალო სკოლის მსენებლობაზე ცატარებულ ტენდერში გაიმარჯვა ს/ს "იმერეთი-I"-მა

სატენდერო კომისია